სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები)

საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში

2024

შინაარსი

შესავალი 3

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეები 4

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეების შესახებ 4

ზოგადი ღონისძიებები 4

ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2024-2026 წლებისთვის 4

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი და საქმიანობა 5

არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაცია 7

დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა 9

ახალი პენიტენციური კოდექსი 11

ზოგადი ღონისძიებების კუთხით არსებული აღსრულების პროცესის სხვა ხარვეზები 12

ვიდეო და აუდიო ჩანაწერების საკითხი 12

დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკა 14

პენიტენციურ სისტემაში არასათანადო მოპყრობის გამოვლენის და გასაჩივრების ხელშემშლელი ფაქტორები 16

საქმე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 21

საქმის შესახებ 21

ზოგადი ღონისძიებების კუთხით არსებული აღსრულების პროცესის ხარვეზები 21

ვიდეო-ჩანაწერები პენიტენციურ სისტემაში 21

პროკურატურის რეფორმა 23

„თხელიძის ჯგუფის“ საქმეები 26

„თხელიძის ჯგუფის“ საქმეების შესახებ 26

ზოგადი ღონისძიებები 26

პოლიტიკის დოკუმენტები 26

ინსტიტუციური მექანიზმები გენდერული თანასწორობისთვის 27

ეროვნული კანონმდებლობა/რეგულაციები 27

პრევენციული ზომები 30

გენდერული ნიშნის იდენტიფიცირება 32

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება 33

მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისები 34

„იდენტობის ჯგუფის“ საქმეები 37

„იდენტობის ჯგუფის“ საქმეების შესახებ 37
ზოგადი ღონისძიებები 37
პოლიტიკის დოკუმენტები 37
შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა 38
სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირება 39
საზოგადოების ცნობიერება და ტოლერანტობა 40
სტატისტიკის წარმოება 41
რეკომენდაციები 42
„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეები 42
საქმე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ 46
„თხელიძის ჯგუფის“ საქმეები 46
„იდენტობის ჯგუფის“ საქმეები 48

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს პარლამენტისათვის სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშს, რომელშიც მოცემულია ალტერნატიული შეფასებები საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშზე „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები“ (შემდგომში სამინისტროს ანგარიში).[1] სამინისტროს ანგარიში მზადდება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 175-ე მუხლის თანახმად, რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობა ყოველწლიურად წარუდგენს პარლამენტს ანგარიშს საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ.

ალტერნატიული ანგარიში მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. მასში მიმოხილულია საქართველოს წინააღმდეგ ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის სახელმწიფოს მიერ მიღებული ზოგადი ღონისძიებები შემდეგ საქმეებში: „ცინცაბაძის ჯგუფი“, „იდენტობის ჯგუფი“, „თხელიძის ჯგუფი“ და „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. შესაბამისად, ალტერნატიული ანგარიში ეხმიანება სამინისტროს ანგარიშს. ამავდროულად, განიხილავს სხვა საკითხებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის ნახსენები სამინისტროს ანგარიშში, მაგრამ რელევანტურია ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულების თვალსაზრისით. ალტერნატიული ანგარიში ასევე შეიცავს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ზემოაღნიშნული საქმეების აღსრულების მიზნით განსახორციელებელ ზომებთან დაკავშირებით. დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებულ საქმეებზე ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ მოსაზრებებს სახალხო დამცველი პერიოდულად უზიარებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს.

[1] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), იხ.: https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/42973 [ბოლოს ნანახია 13.05.24].

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეები

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეების შესახებ

ე.წ. „ცინცაბაძის ჯგუფში“ გაერთიანებული საქმეები ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მატერიალურ და პროცედურულ დარღვევებს (ძირითადად სამართალდამცავთა და ციხეების თანამშრომელთა მიერ ჩადენილი მკვლელობებს, წამებას და არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტების არაეფექტიან გამოძიებას). ხსენებულ საქმეებში ასევე დადგინდა კონვენციის მე-5 (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების) და მე-6 (საქმის სამართლიანი განხილვის უფლების) მუხლების დარღვევა.

ზოგადი ღონისძიებები

ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2024-2026 წლებისთვის

სამინისტროს ანგარიშში ნახსენებია საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის თავი წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვის შესახებ.[2] კერძოდ, აღწერილია ამ მიმართულებით განსაზღვრული ამოცანები, ხოლო ამ ამოცანების შესაბამისად, როგორც ანგარიშშია აღნიშნული, „შემუშავდა და დამტკიცდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმა 2024-2026 წლებისთვის“.[3]

ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმაში, სამწუხაროდ, არ აისახა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შეთავაზებული საკითხების უმეტესობა. კერძოდ, დოკუმენტში აქტივობის სახით არ არის გათვალისწინებული „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში ცვლილების განხორციელება და სახალხო დამცველისათვის გამოძიების დასრულებამდე არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გაცნობის უფლებამოსილების მინიჭება. ამ მიმართულებით მანდატის გაფართოებას სახალხო დამცველის აპარატი უკვე წლებია ითხოვს, რათა არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტების გამოძიების მონიტორინგი უფრო დაუბრკოლებლად განახორციელოს. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა, სახალხო დამცველის აპარატის შეთავაზების მიუხედავად, არ ითვალისწინებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობის გავრცელებას გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე და ა.შ.

[2] იქვე, გვ. 49-50.
[3] იქვე, გვ. 50.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი და საქმიანობა

სამინისტროს ანგარიშში მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბრის საკანონმდებლო ცვლილების შედეგად სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის გაზრდა.[4] ამ ცვლილების მიუხედავად, უწყების მანდატი კვლავ ხარვეზიანია და საჭიროებს გაუმჯობესებას, რასაც ადასტურებს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებაც „ცინცაბაძის ჯგუფის" საქმეების აღსრულების შესახებ. კერძოდ, მინისტრთა კომიტეტმა სახელმწიფოს მოუწოდა, რომ განიხილოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის გაძლიერება დამატებითი ზომების მიღებით, მათ შორის, სახელმწიფოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევების გამოძიების მთავარ ფუნქციასთან სამსახურის მანდატის უფრო შესაბამისობაში მოყვანით.[5] ამ მხრივ, სახალხო დამცველის აპარატმა უკვე არაერთხელ აღნიშნა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა უნდა გადაიხედოს და მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულები დარჩეს საგამოძიებო ქვემდებარეობაში.[6] კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს, რომ სამსახურის ქვემდებარე დანაშაულებიდან ამოღებულ იქნას სსკ-ის 153-159, 162-163 და 164[4]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.[7] ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.[8] გარდა ამისა, საჭიროა, საკანონმდებლო ცვლილებების გზით, საქმის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მოთხოვნის განხილვის შემჭიდროვებული ვადების და პროკურორის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა; საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ სამსახურის დასაბუთებული წინადადებების განხილვის ვადების შემცირება და პროკურორის გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულების შემოღება; დამატებით გარანტიები მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვებისა და დაცვის/შენახვის უზრუნველსაყოფად,

---

[4] იქვე, გვ. 51-52.

[5] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1492-ე შეხვედრაზე (2024 წლის 12-14 მარტი) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 5, იხ.: https://tinyurl.com/39vxn28j [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[6] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 81, იხ.: https://tinyurl.com/4tfxmehe [ბოლო ნანახია 13.05.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 8, 61, იხ.: https://tinyurl.com/2uv2m4vs [ბოლოს ნანახია 13.05.2023].

[7] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 81.

[8] იქვე.

ხოლო სამსახურის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში - უარის დასაბუთების ვალდებულების დადგენა.[9]

ზემოაღნიშნული გამოწვევების გარდა, სახალხო დამცველის აპარატს სურს აღნიშნოს დადებითი ცვლილებებიც. კერძოდ, მისასალმებელია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები დაიშვებიან იზოლატორში მოთავსებულ პირთან, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.[10] ასევე, პოზიტიური ნაბიჯია, რომ საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის მაისში მიიღო კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის გავრცელებას პროკურორების ჩადენილ დანაშაულებზე.[11]

რაც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობას, სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელს შეისწავლა 55 საქმე (46 შეწყვეტილი და 9 მიმდინარე, საგამონაკლისო წესით გაცნობილი).[12] შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა მაინც გამოავლინა საყურადღებო პრობლემები. კერძოდ, რიგ შემთხვევებში გამოკითხვები ტარდება დაგვიანებით და ჩატარებულია გამოძიების დაწყებიდან 5 თვიდან 1 წელზე მეტი დროის ინტერვალში, არ ხდება ვიდეოჩანაწერების მიუღებლობის მიზეზების სათანადო კვლევა, არ ხდება მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დათვალიერების დროული დოკუმენტირება (ოქმის შედგენა), ფიქსირდება არასათანადო მოპყრობის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები და ა.შ.[13]

---

[9] საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის იანვრის კომუნიკაცია ცინცაბაძის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, პარაგრაფი 19, იხ.: https://tinyurl.com/jxd653se [ბოლოს ნანახია 13.05.2024]; სახალხო დამცველის განცხადება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის პროექტის თაობაზე, იხ.: https://tinyurl.com/mvey75b7 [ბოლოს ნანახია 16.07.2024].

[10] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 75; „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2023 წლის 6 ოქტომბრის №78 ბრძანება.

[11] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ 75; სახალხო დამცველის განცხადება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის გაფართოების ინიციატივასთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/4cdZasJ [ბოლოს ნანახია 13.05.2024]; მიღებული კანონპროექტი იხ.: https://www.parliament.ge/legislation/28044 [ბოლოს ნანახია 16.07.2024].

[12] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 53-58, იხ.: https://tinyurl.com/3pea6yzj [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[13] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ 77.

არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაცია

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშავა და 2023 წლის 31 ივლისს დაამტკიცა წამების და არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციისთვის სახელმძღვანელო დოკუმენტი.[14] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებაში აღინიშნა სამსახურის მიერ გადადგმული ნაბიჯები დანაშაულთა კვალიფიკაციის პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.[15] ამავდროულად, კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, არასათანადო მოპყრობისთვის დაუსჯელობის პრევენციისა და კონვენციასთან ეროვნული პრაქტიკის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, იმსჯელოს და განიხილოს შემდგომი ზომები, მათ შორის, შესაძლო საკანონმდებლო ცვლილებები.[16] ამ მხრივ, სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშებში ყურადღება გამახვილებულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვლილების საჭიროებაზე.[17] კერძოდ, სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებებს[18] მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური ნორმები - სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლები. ამასთანავე, სსკ-ის 335-ე მუხლის[19] და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის[20] დისპოზიცია მოიცავს არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით აკრძალულ ქმედებებს. ასეთი საკანონმდებლო მოწესრიგება განაპირობებს მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის არასწორ კვალიფიკაციას სამოხელეო დანაშაულის ზოგადი ნორმებით, რაც გავლენას ახდენს სასჯელის დანიშვნასა და აღსრულებაზე.[21] კერძოდ, სამოხელეო დანაშაულისგან განსხვავებით, არასათანადო მოპყრობის სპეციალურ მუხლებზე არ გამოიყენება ხანდაზმულობის ვადები, განრიდება და დაუშვებელია სასჯელისაგან სრულად გათავისუფლება განსაკუთრებული თანამშრომლობის შესახებ საპროცესო შეთანხმების დადებისას.[22] შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების კონტექსტში, არასათანადო მოპყრობის აკრძალვის პრევენციული ეფექტის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა ორაზროვნების გარეშე

---

[14] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ, გვ. 54.

[15] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1492-ე შეხვედრაზე (2024 წლის 12-14 მარტი) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 7.

[16] იქვე.

[17] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 59; სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი“, გვ. 24-25, იხ.: https://tinyurl.com/58bx42fj [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[18] მოხელის მიერ ძალადობით, იარაღის გამოყენებით, ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილ უფლებამოსილების გადამეტებას და ბოროტად გამოყენებას.

[19] განმარტების, ჩვენების ან დასკვნის მიღების იძულება.

[20] პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით.

[21] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 39-40.

[22] იქვე, გვ. 40.

და ამომწურავად არასათანადო მოპყრობის კრიმინალიზაცია მხოლოდ სპეციალური ნორმებით (სსკ-ის 144[1]-1443 მუხლებით) და ამ დანაშაულების სხვა მუხლებით კვალიფიკაციის გამორიცხვა.

როგორც უკვე აღინიშნა, პრაქტიკაში ფიქსირდება მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის კვალიფიკაცია სამოხელეო დანაშაულის ზოგადი მუხლებით. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა კვლევის ფარგლებში შეისწავლა სასამართლოების მიერ 2013-2019 წლებში 68 სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 131 სასამართლო აქტი.[23] ამ 68 საქმიდან 50-ში ბრალდებული იყო სახელმწიფოს წარმომადგენლი 140 პირი.[24] ხსენებული 50 საქმიდან 22 საქმეზე ბრალდება წარდგენილი იყო სსკ-ის 332-333-ე მუხლების მე-3 ნაწილებით, ხოლო დანარჩენი 28 საქმიდან 18 საქმეზე ბრალდება წარდგენილი იყო სსკ-ის 144[1]-144[3] მუხლებით და 10 საქმეზე - სსკ-ის 144[1]-144[3] და 332-332-ე მუხლების მე-3 ნაწილების ერთობლიობით.[25] სახალხო დამცველის აპარატის კვლევით გამოვლინდა, რომ, სპეციალური ნორმის გამოყენების ნაცვლად, ზოგადი მუხლებით არასწორად დაკვალიფიცირდა, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებმა სცემეს, აგინეს და დამამცირებლად მოეპყრნენ პატიმარს, რომელმაც უარი განაცხადა ბრალად შერაცხული ქმედების აღიარებაზე.[26]

არასათანადო მოპყრობის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები ფიქსირდება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაშიც. 2023 წელს შეწყვეტილი და მიმდინარე გამოძიების შესწავლილი საქმეებიდან ერთ-ერთში, მაგალითად, სავარაუდო მსხვერპლი უთითებდა, რომ ავტომანქანაში ორი პოლიციელი ურტყამდა და სხეულზე ანთებული სიგარეტი ჩააწვეს.[27] სამწუხაროდ, ამ საქმეზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება დაიწყო არა სპეციალური მუხლით, არამედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ძალადობით).[28] სახალხო დამცველის შეფასებით, სავარაუდო მსხვერპლის მიერ თავდაპირველად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ქმედებას კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით, როგორც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა. აღსანიშნავია სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი სხვა საქმეც. კერძოდ, მოქალაქე უთითებდა, რომ პოლიციის ავტომობილში ჩასმის შემდეგ, გვერდით მჯდომმა სამართალდამცავმა თავში, კეფის

[23] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „არასათანადო მოპყრობის ზოგადი და სპეციალური მუხლებით კვალიფიკაციის პრაქტიკული ანალიზი“, გვ. 5.
[24] იქვე, გვ. 26.
[25] იქვე, გვ. 26-27.
[26] იქვე, გვ. 28-29.
[27] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 77.
[28] იქვე.

არეში ჩაარტყა ხელი, ხოლო პოლიციის შენობაში მიყვანის შემდეგ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაზეც თავადაც უპასუხა, რის შემდეგაც სახეში, ცხვირის, ტუჩისა და თვალის მიდამოში დაარტყა მუშტი; პირველი დარტყმის შემდეგ დახარა თავი, რის შემდეგაც 1-2 წუთის განმავლობაში ურტყამდნენ თავში, ზურგსა და წელის არეში.[29] ამ შემთხვევაშიც, ქმედებებს უნდა მისცემოდა კვალიფიკაცია არასათანადო მოპყრობის სპეციალური მუხლებით, როგორც დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა.

დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ბრძანებით დაამტკიცა წამებისა და არასათანადო მოპყრობის საქმეების მასალების გაცნობის წესი, რომლითაც, „მსხვერპლს მიუხედავად იმისა, მინიჭებული აქვს თუ არა მას დაზარალებულის სტატუსი, ეძლევა საქმის მასალების გაცნობისა და საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა“.[30] სახალხო დამცველის აპარატმა მასალების გაცნობის წესის შემოღება დადებითად შეაფასა, რადგან ეს ცვლილება გამოძიების ეტაპზე დაზარალებულის ჩართულობას, მეტ გამჭვირვალობასა და მსხვერპლის ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს.[31] ბრძანების ძალაში შესვლის შემდგომ სახალხო დამცველის რწმუნებულები გაეცნენ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ არაერთ სისხლის სამართლის საქმეს. მასალების შესწავლიდან იკვეთება გამომძიებლის მიერ მსხვერპლის პროაქტიული ინფორმირება, ჩართულობისა და საქმის მასალების გაცნობის შეთავაზება, რაც მისასალმებელია.[32]

ზემოაღნიშნული დადებითი ცვლილების მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევები დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის კუთხით, რასაც ადასტურებს მინისტრთა კომიტეტის ბოლო გადაწყვეტილებაც. კერძოდ, კომიტეტმა მიუთითა მსხვერპლთათვის ფორმალურად დაზარალებულის სტატუსის მინიჭების არსებულ ხარვეზებზე და მოუწოდა ხელისუფლებას, მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო და პრაქტიკული ზომები, რათა დაზარალებულის სტატუსის მინიჭება დაექვემდებაროს თანმიმდევრულ, სისტემურ რეგულირებას .[33] ამ პრობლემაზე დაკვირვება და მუშაობა სახალხო დამცველის აპარატმა 2023 წელსაც გააგრძელა. გამოვლენილი ხარვეზები ეხება პროკურორების მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საკითხს. კერძოდ, აპარატმა შეისწავლა საქალაქო სასამართლოების 40 განჩინება. აღსანიშნავია, რომ

---

[29] იქვე.

[30] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 52.

[31] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 162, იხ.: https://tinyurl.com/rw9k3xta [ბოლოს ნანახია 13.05.2023].

[32] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 205.

[33] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1492-ე შეხვედრაზე (2024 წლის 12-14 მარტი) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 6.

არცერთი განჩინებით არ დაკმაყოფილდა საჩივარი დაზარალებულად ცნობაზე პროკურორის უარის გაუქმებისა და სასამართლოს მიერ სტატუსის მინიჭების თაობაზე.[34] გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ განჩინებები ხშირად დაუსაბუთებელია და არ პასუხობს მსხვერპლის/ადვოკატის საჩივარში დაფიქსირებულ ძირითად საკითხებს.[35] სასამართლოები უთითებენ, რომ დაზარალებულად ცნობისათვის საჭირო საფუძვლის გამოკვეთისას მოქმედებენ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით და საქმეში არ იკვეთება ხსენებული საფუძველი არასაკმარისი მტკიცებულებების გამო.[36] პრობლემურია, რომ სასამართლო ძირითადად არ განმარტავს, კონკრეტულად რომელი საგამოძიებო მოქმედება არის ჩასატარებელი ან რომელი მტკიცებულება იქნებოდა საკმარისი დაზარალებულად ცნობისათვის.[37] საქმის კონკრეტულ გარემოებებზე მიუთითებლობით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვინაიდან პირისათვის გაუგებარი რჩება, რა სახის საგამოძიებო მოქმედებები უნდა ჩატარდეს, რა ტიპის მტკიცებულებები უნდა იქნეს მოპოვებული ან რა სახით უნდა დადასტურდეს ზიანის არსებობა, რომ სასამართლომ აღნიშნული სტანდარტი დაკმაყოფილებულად ჩათვალოს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ იცნობს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, როგორც დაზარალებულად პირის ცნობის სახელმძღვანელო პრინციპს და ასეთი განმარტება სასამართლოების მიერაა დამკვიდრებული.[38]

დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობის მხრივ, ასევე საყურადღებოა პროკურატურის მიერ დაზარალებულის სტატუსის მქონე პირებისთვის წვდომის შეზღუდვა საქმის მასალების გაცნობაზე ან/და ასლების გადაცემაზე. პროკურატურამ, მაგალითად, დაზარალებულ მხარეს საქმის მასალების ასლები არ გადასცა, ვინაიდან მასალები შეიცავდა საიდუმლო ინფორმაციას და ეხებოდა მესამე პირთა პირად ცხოვრებას.[39] სხვა საქმეში პროკურორმა საქმის მასალების გადაცემაზე უარი თქვა დაზარალებულთა ინტერესებზე, გამოძიების ეფექტურად წარმართვასა და საქმის ფიგურანტი სხვა პირთა პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე მითითებით, მაგრამ, ამავდროულად, თანხმობა განაცხადა საქმის მასალების ადგილზე გაცნობაზე.[40] საქმის

---

[34] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 207.

[35] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ 207-212.

[36] იქვე, გვ. 207-208; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 128.

[37] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 207.

[38] იქვე, გვ. 212.

[39] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 128-129.

[40] იქვე, გვ. 129.

მასალების ასლების გაცემის შეზღუდვას შეიძლება ჰქონდეს ლეგიტიმური ინტერესი, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული და მსხვერპლისათვის დამაჯერებელი. დაზარალებულისთვის ვერ იქნება გასაგები, როგორ იცავს პროკურატურა მესამე პირების პირადი ცხოვრების საიდუმლოებას მასალების გადაუცემლობით, თუკი თანახმაა, იგივე მასალები სრულად გააცნოს პროკურატურის შენობაში. ასევე გაუგებარია, როგორ შეიძლება დაზარალებულმა მისი უფლებების გამამართლებელ/დასაბუთებულ კანონიერ შეზღუდვად მიიჩნიოს ის მოცემულობა, როდესაც პროკურატურა არ აძლევს მასალების ასლებს მისივე - დაზარალებულების ინტერესების დაცვის მოტივით.

ახალი პენიტენციური კოდექსი

სამინისტროს ანგარიშში აღნიშნულია ახალი პენიტენციური კოდექსის მიღება.[41] მისასალმებელია ის ფაქტი, რომ კოდექსი ითვალისწინებს სახალხო დამცველის რამდენიმე რეკომენდაციას.[42] კერძოდ, სხვა საკითხებთან ერთად, კოდექსში აისახა რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამედიცინო შემოწმებაზე პატიმრის ინფორმირებული თანხმობის გარეშე ექიმის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შეტყობინებას პატიმრის სხეულზე შემჩნეული დაზიანების შესახებ.[43] ახალი წესის თანახმად, პენიტენციურ დაწესებულებაში ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას მის სხეულზე დაზიანების დაფიქსირების შემთხვევაში სამედიცინო პერსონალი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს.[44] თუ ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას სამედიცინო პერსონალი შეამჩნევს მას რაიმე ფიზიკურ დაზიანებას ან/და სხვა ისეთ გარემოებას, რომელიც ობიექტურ პირს აღნიშნული პაციენტის მიმართ შესაძლო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის განხორციელების ეჭვს აღუძრავდა, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება ხორციელდება მისი თანხმობის არსებობის გარეშეც.[45] ამ ნორმის აღსრულების მიზნით, შესაბამის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში ცვლილებების შესატანად განსაზღვრულია 1 წლიანი მაქსიმალური ვადა.[46] საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, სახალხო

---

[41] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 56.

[42] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 224-225.

[43] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 59.

[44] პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

[45] იქვე.

[46] იქვე, 146-ე მუხლი.

დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ საჭირო ცვლილებები პრიორიტეტულად, უმოკლეს ვადაში უნდა განხორციელდეს.

ზემოაღნიშნული დადებითი ცვლილებების მიუხედავად, ახალ პენიტენციურ კოდექსში არ არის გათვალისწინებული სახალხო დამცველის პოზიცია არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, კერძოდ: არ არის განსაზღვრული პატიმრების დისციპლინური დარღვევის სახეები[47] და დარღვევის თითოეული სახის მიმართ შესაბამისი სახდელები;[48] არ გაუქმებულა დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება; პროკურორებს/გამომძიებლებს კვლავ შეუძლიათ ბრალდებულებისთვის სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა, რაც ადვოკატთან კომუნიკაციის შემთხვევებზეც ვრცელდება; არ გაზრდილა განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა; არ გაზრდილა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა; არ შემცირებულა უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა; განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს შეეზღუდა ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლება.[49]

ზოგადი ღონისძიებების კუთხით არსებული აღსრულების პროცესის სხვა ხარვეზები

წინამდებარე ანგარიშის მომდევნო ქვეთავებში განხილულია ის საკითხები, რომლებიც მართალია არ არის ნახსენები სამინისტროს ანგარიშში, მაგრამ, სახალხო დამცველის პოზიციით, რელევანტურია „ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეების აღსრულების პროცესისთვის.

ვიდეო და აუდიო ჩანაწერების საკითხი

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა საქართველოს ხელისუფლებას კვლავ მოუწოდა, რომ გააძლიეროს გარანტიები, არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, მათ შორის კი გაზარდოს სამართალდამცავთა და ინდივიდებს შორის

[47] ნაკლებად მძიმე დარღვევა, მძიმე დარღვევა და განსაკუთრებით მძიმე დარღვევა.
[48] სახდელის სიმკაცრის გრადაცია.
[49] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 225.

კომუნიკაციის (interaction) ვიდეო/აუდიო ჩაწერის მასშტაბი და ეფექტიანობა.[50] ვიდეო ჩანაწერებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი წლებია გასცემს რეკომენდაციებს ნორმატიული აქტით დასარეგულირებელ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სამხრე კამერებით და პოლიციის ავტომანქანაში ვიდეოგადაღების ვალდებულება და გონივრული ვადით მასალის შენახვა.[51] ასევე, გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეო ინფრასტრუქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის შესახებ.[52] ამ მხრივ, 2023 წელს ნორმატიულ დონეზე, სამწუხაროდ, არაფერი შეცვლილა. კერძოდ, პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების ვალდებულება არ აქვთ.[53] პატრულ ინსპექტორების გარდა, არცერთ შემთხვევაში არ არის გაწერილი ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.[54] პრაქტიკაში პატრულ ინსპექტორები/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლები მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღებას იშვიათად იყენებენ. ასევე პრობლემად რჩება ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების აღჭურვა სამხრე კამერებით, ასევე პოლიციის ავტომანქანების შიდა პერიმეტრის ვიდეო-კამერებით აღჭურვა.[55]

პოლიციის თანამშრომლისათვის ვიდეო გადაღების დისკრეციის დატოვება მნიშვნელოვნად აფერხებს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოძიებას და ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებას. კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ 161 საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში 80 საქმეზე ვერ მოხერხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერების ამოღება.[56] ამ 80 საქმიდან 43-ში ვიდეოკამერების ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა, ვინაიდან

---

[50] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1492-ე შეხვედრაზე (2024 წლის 12-14 მარტი) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 8.

[51] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 71; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 80; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 75, იხ.: https://tinyurl.com/4mpbm42p [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[52] იქვე.

[53] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 71.

[54] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, მუხლი 121.

[55] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

[56] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2024 წლის 17 იანვრის წერილი SIS62400000650; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 71.

ჩანაწერი ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ მოიძებნა. 28 შემთხვევაში ვერ მოხერხდა, რადგან ადგილზე არ იყო განთავსებული ვიდეოკამერები.[57]

სამწუხაროდ, პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.[58] აღსანიშნავია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ დაწყებული ზემოაღნიშნული გამოძიებებიდან 82 შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებდა, რომ სავარაუდო დანაშაულს ადგილი ჰქონდა პოლიციის შენობაში.[59] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის თანახმად, მნიშვნელოვანია, პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი გამოკითხვა/გასაუბრება ვიდეო და აუდიო ტექნიკური საშუალებებით იწერებოდეს, იქვე უნდა მიეთითოს გამოკითხვის/გასაუბრების დაწყების და დასრულების დრო და მიეთითოს ჩანაწერში მონაწილე ყველა პირის სახელი და გვარი.[60] განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ წლიდან წლამდე მცირდება პოლიციის სამმართველოებსა და დეპარტამენტებში შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული კამერების რაოდენობა.[61] 2023 წლის მონაცემებით, საგანგაშოა, რომ პოლიციის 5 დაწესებულებაში შიდა პერიმეტრზე არცერთი კამერა აღარ არის განთავსებული, მათ შორის, ორ დაწესებულებაში კამერა არ არის არც გარე პერიმეტრზე, რაც მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.[62]

დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკა

სახალხო დამცველის აპარატი, წლებია, აკრიტიკებს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახებში ხანგრძლივ, არამიზნობრივ და დასჯის მიზნით მოთავსების პრაქტიკას, რომელიც არასათანადო მოპყრობას უტოლდება.[63] 2023 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტებით გაირკვა, რომ N2 და N3 პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო

---

[57] 7 შემთხვევაში ვიდეოკამერის ჩანაწერების ამოღება ვერ მოხერხდა, რადგან ჩამწერი მოწყობილობა მყარ დისკზე არ მოიძებნა/ადგილზე არ იყო განთავსებული ვიდეოკამერები; 2 შემთხვევაში არ იქნა ამოღებული, რადგან სავარაუდო მსხვერპლი შესაძლო ძალადობის ადგილად ქუჩას უთითებდა.

[58] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 71.

[59] იქვე.

[60] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 28-ე საერთო ანგარიში, 2019 წ, პარაგრაფი 81, იხ.: https://rm.coe.int/16809420e3 [ბოლოს ნანახია: 13.05.2024].

[61] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 72.

[62] იქვე.

[63] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, გვ. 56, იხ.: https://tinyurl.com/kxmj4urs [ბოლოს ნანახია: 13.05.2024]; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 41-42; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 13.

(უსაფრთხო) საკნებში უმეტესად კვლავ მაქსიმალური ვადით, ფაქტობრივად უწყვეტად, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში, წუთებისა და საათების ინტერვალებით ათავსებენ.[64] N2 და N8 დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახში და სამარტოო საკანში არასრულწლოვნებიც გადაიყვანეს.[65] გარდა ამისა, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც დეესკალაციის/სამარტოო საკანში გადაყვანას თან ერთვის დისციპლინური სახდელის შეფარდება, რაც აძლიერებს პატიმრების განცდას, რომ აღნიშნულ ოთახებში გადაყვანა მათი დასჯის მიზანს ემსახურება.[66] კანონმდებლობის დარღვევით დეესკალაციის ოთახში მოთავსების შემთხვევები გამოვლინდა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ კონკრეტულ საქმეებშიც.[67]

დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მოთავსების ზემოაღწერილ მანკიერ პრაქტიკას სრულად ვერ აღმოფხვრის 2023 წელს პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შესული გარკვეული დადებითი ცვლილებები.[68] ზემოაღნიშნული ცვლილებით მართალია განისაზღვრა მულტიდისციპლინური გუნდის ჩართულობა დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსებისას, თუმცა მის ვალდებულებას არ წარმოადგენს კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად მუშაობა.[69] დებულებების მიხედვით, მულტიდისციპლინური გუნდის ფუნქციას წარმოადგენს მხოლოდ პატიმრის მდგომარეობის შეფასება, შემდგომში მისი საკანში დაბრუნების ან სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხის გადასაწყვეტად.[70] გარდა ამისა საგულისხმოა, რომ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შეტანილი ცვლილებები შეეხება მხოლოდ დეესკალაციის ოთახში პატიმრის მოთავსების საკითხს. შესაბამისად, სამარტოო (უსაფრთხო) საკანში გადაყვანასთან დაკავშირებული ნორმატიული მოწესრიგება და პრაქტიკა კვლავ უცვლელია.[71] ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა არაერთხელ მიმართა რეკომენდაციით საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პენიტენციური დაწესებულებების

---

[64] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 49-50.

[65] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 50.

[66] ასე, მაგალითად, N3 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, ფიქსირდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც პატიმრების მიერ დაწესებულების თანამშრომლების დაუმორჩილებლობასა და სიტყვიერი შეურაცხყოფის სავარაუდო ფაქტების გამო, პატიმრებს დაეკისრათ დისციპლინური სახდელები და ამავე დროს, ისინი დეესკალაციის ოთახში მოათავსეს (საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში).

[67] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 266-269.

[68] იქვე, გვ. 264-265.

[69] მაგალითად, კრიზისული სიტუაციის გამომწვევი სოციალური ან სხვა ყოფითი საკითხების დადგენა და შეძლებისდაგვარად მათ მოგვარებაზე ზრუნვა.

[70] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

[71] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 51.

დებულებებში განსაზღვრულიყო დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსებისას, პატიმრების უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად, ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა; ასევე განსაზღვრულიყო დეესკალაციის ოთახში და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის და აუცილებლობის დასაბუთების ვალდებულება.[72] სამწუხაროდ, ნორმატიულად ჯერ არ დადგენილა დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსების უკიდურესობის დასაბუთების და ამ ზომის გამოყენებამდე სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებების გამოყენების ვალდებულება.[73] გარდა ამისა, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით, დეესკალაციის ოთახში პატიმრის ერთჯერადად მოთავსების მაქსიმალური ვადა კვლავ 72 საათით განისაზღვრება.[74] წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში დეესკალაციის ოთახების 72-საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა დე ფაქტო დასჯად შეაფასა.[75]

პენიტენციურ სისტემაში არასათანადო მოპყრობის გამოვლენის და გასაჩივრების ხელშემშლელი ფაქტორები

წინა წლების მსგავსად, სავარაუდო ძალადობის/არასათანადო მოპყრობის გამოვლენის და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას ძირითადად განაპირობებდა სამედიცინო შემოწმებაზე პატიმრის თანხმობის მიღების ვალდებულება,[76] არაფორმალური მმართველობის გავლენა, არაკონფიდენციალურ გარემოში პატიმართან ექიმის შეხვედრის პრაქტიკა, ექიმების მიერ ძალადობის შემთხვევების არასათანადო დოკუმენტირების პრაქტიკა, სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის და მათ მიმართ პატიმრების ნდობის დაბალი ხარისხი.[77]

<u>პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა</u>

---

[72] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

[73] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 51.

[74] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 50-51.

[75] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარაგრაფები 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, იხ.: https://rm.coe.int/1680945eca [ბოლოს ნანახია: 13.05.2024].

[76] აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ ზემოთ წინამდებარე ანგარიშის ქვეთავი ახალ პენიტენციურ კოდექსზე.

[77] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 58-60, 63-65.

2023 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგისას კვლავ გამოვლინდა, რომ პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებას და არასათანადო მოპყრობის გამოვლენას აბრკოლებს პენიტენციურ დაწესებულებებში მოქმედი პატიმართა არაფორმალური იერარქია.[78] კერძოდ, ცალკეულ დაწესებულებებში პრივილეგირებული პატიმრები (ე.წ. მაყურებლები) დაწესებულებების მართვაში არაფორმალურად მონაწილეობენ, რაც მიზნად ისახავს მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას და პატიმრების მიერ პრობლემებზე საუბრის აკრძალვას.[79] არაფორმალური მმართველობა ხშირად პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება[80] და გამოიხატება გამოძალვაში, დამცირებაში, გარიყვასა და იმ პატიმრების დასჯაში, რომლებიც არ დაემორჩილებიან არაფორმალური მმართველობის წესებს.[81] არაფორმალური იერარქიის გამო, წინა წლების მსგავსად, პატიმრები კვლავ თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისგან. პატიმართა დაახლოებით ნახევარი სასჯელს ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში იხდის,[82] მაგრამ 2023 წელს სახალხო დამცველის აპარატში პატიმრებისგან შემოსული განცხადებებიდან მხოლოდ 2.36% ეკუთვნოდათ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს.[83] ძალადობის მსხვერპლი პატიმრები ხშირად, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან არიდების მიზნით, დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან არ საუბრობენ დაზიანების წარმოშობის რეალურ მიზეზებზე.[84]

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებულ დოკუმენტაციაში აღწერილია პატიმრების სხეულის დაზიანების ფაქტები, რომლებიც დაფიქსირებულია, როგორც საყოფაცხოვრებო ტრავმები, თუმცა ამ დაზიანებების ხასიათი, მდებარეობა და მათი წარმოშობის წყაროს შესახებ მითითებული ინფორმაციის ანალიზი წარმოშობს გონივრულ ეჭვს, რომ დაზიანება სავარაუდოდ მიყენებულია ძალადობის შედეგად.[85] ექიმები სათანადოდ არ უთითებენ როდის, როგორ და რა ვითარებაში მიიღო პატიმარმა დაზიანება და ხშირად ვხვდებით საეჭვო დაზიანებებს, რომელზეც შეტყობინება არ არის გაგზავნილი (როდესაც მაგალითად, პატიმარს თვალბუდეზე აქვს დაზიანება და მითითებულია, რომ საწოლიდან

[78] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 63.

[79] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

[80] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 65.

[81] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

[82] №14, №15 და №17 პენიტენციური დაწესებულებები

[83] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 63-64.

[84] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

[85] კონკრეტული მაგალითებისთვის იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

ჩამოსვლისას მიიღო ეს დაზიანება). იმისათვის რომ პატიმრებს შორის ძალადობის შემთხვევები არ დარჩეს შეტყობინების გარეშე, სახალხო დამცველმა თავის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის მინისტრს,[86] რომ პენიტენციური კანონმდებლობის რეფორმის ფარგლებში განსაზღვრულიყო პენიტენციური დაწესებულების ექიმის ვალდებულება:

კ.ა) პატიმრის სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიუხედავად, შესაბამის დოკუმენტში წერილობით მიუთითოს, აქვს თუ არა ეჭვი პატიმრის მიმართ ძალადობის შესახებ;

კ.ბ) პატიმრის სხეულის დაზიანების შეფასებისას მის მიმართ ძალადობის შესახებ ეჭვის გაჩენის შემთხვევაში აცნობოს საგამოძიებო ორგანოს;

სამწუხაროდ, აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობის გამოვლინებაა ე.წ. „ობშიაკის“ შეგროვების პრაქტიკა, რომელიც სპეციალური პრევენციული ჯგუფის მონიტორინგის შედეგად 2023 წელს კვლავ დაფიქსირდა.[87] N14 პენიტენციურ დაწესებულებაში, მაგალითად, „ობშიაკის“ შეგროვების შესახებ მედიის მიერ 2023 წლის ოქტომბერში ინფორმაციის გავრცელების შემდეგ,[88] სახალხო დამცველის აპარატმა დაიწყო საქმის შესწავლა. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიწოდებული ინფორმაციით, 2023 წლის 8 მაისს, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის საქმეზე, „ქურდული სამყაროს" საქმიანობის მხარდაჭერის, „ქურდული სამყაროს" წევრობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე.[89] მიუხედავად ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული ვიზიტების შედეგად მიღებული ინფორმაციის თანახმად, N14 დაწესებულებაში, ზემოხსენებულ საქმეზე „მაყურებლისთვის“ ბრალის წაყენების და სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგაც გროვდებოდა ე.წ. „ობშიაკი“ სხვა „მაყურებლის“ მიერ.[90] პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს შორის დამკვიდრებულ არაფორმალურ იერარქიაზე

[86] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 75.

[87] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში; საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში, გვ. 61, იხ.: https://tinyurl.com/5x2yfba7 [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[88] "ქურდული სამყაროს" შავი ბუღალტერია - რა სქემით სძალავენ პატიმრებს საქართველოში ფულს - ექსკლუზიური ჩანაწერები, იხ.: https://tinyurl.com/4njfw98k [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[89] დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 2231-ე მუხლის პირველი ნაწილით, 223^3-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 7 დეკემბრის MIA 7 23 03602475 წერილი;

[90] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

მსჯავრდებულები მიუთითებდნენ სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ სხვა საქმეებშიც.[91]

საყურადღებოა, რომ კონკრეტული პატიმრები მუდმივად თან დაჰყვებოდნენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის პრევენციული ჯგუფისა და გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებს 2023 წელს №15 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს.[92] ისინი ცდილობდნენ მოესმინათ ჯგუფის წევრების მიერ სხვა პატიმრებისთვის დასმული კითხვების შინაარსი და გაცემული პასუხები, რაც, სავარაუდოდ, მიზნად ისახავდა, ერთი მხრივ, პატიმრების მონაყოლის მოსმენას, ხოლო, მეორე მხრივ, პატიმრებზე გავლენის მოხდენას, რათა დაწესებულებაში არსებულ პრობლემებზე საუბრისგან თავი შეეკავებინათ.[93]

<u>სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებული გამოწვევები</u>

პენიტენციურ დაწესებულებებში სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენის და დოკუმენტირების ხარვეზიან პრაქტიკას ასევე განაპირობებს სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებული გამოწვევები. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში დადგენილი პრაქტიკის თანახმად, დაწესებულების თანამშრომელი, როგორც წესი, ესწრება ექიმისა და პაციენტის შეხვედრას, მიუხედავად იმისა, მომდინარეობს თუ არა, ან შესაძლოა თუ არა, რომ მომდინარეობდეს საფრთხე კონკრეტული პატიმრისგან.[94] სახალხო დამცველის აპარატს, მაგალითად, ერთ-ერთ პენიტენციური დაწესებულებიდან მიმართა მსჯავრდებულმა, რომლის განმარტებით, 2023 წელს საექიმო-სამედიცინო პუნქტში, პირველადი ჯანდაცვის კაბინეტში, ექიმთან შეხვედრას მასთან ერთად ესწრებოდა დაწესებულების თანამშრომელი და ისმენდა ექიმისა და პაციენტის საუბარს.[95]

საყურადღებოა, რომ 2023 წელს, წინა წლების მსგავსად, პენიტენციური დაწესებულებების ექიმებს „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად არ მოუხდენიათ ისეთი შემთხვევების დოკუმენტირება, სადაც სავარაუდო მოძალადე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელი იქნებოდა.[96] თუმცა 2023 წლის 1 იანვრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის მიერ, პატიმრების მიმართ

---

[91] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 87-90.

[92] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 65.

[93] იქვე.

[94] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 79.

[95] იქვე, გვ. 78.

[96] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 59-60; სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 პასუხი.

განხორციელებული სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის 119 ფაქტზე[97] მიიღო შეტყობინება და 26 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება.[98] ეს სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ პენიტენციური დაწესებულებების ექიმები დაზიანებების დოკუმენტირების მექანიზმს სრულყოფილად არ იყენებენ.

პრობლემას წარმოადგენს ასევე ექიმთა დამოუკიდებლობისა და მათ მიმართ პატიმართა ნდობის დაბალი ხარისხი. კერძოდ, გამოწვევაა ინსტიტუციური მოწყობა - სამედიცინო პერსონალი დასაქმებულია და ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და არა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.[99] ამასთანავე, სამედიცინო პერსონალის არაფორმალური დამოკიდებულება პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციის მიმართ განაპირობებს პატიმრების ნდობის დაბალ ხარისხს და ეჭვქვეშ აყენებს მათ მიუკერძოებლობას პატიმრების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის დროს.[100]

---

[97] ეს 119 შეტყობინება შეეხებოდა 122 პირს. ამ შემთხვევებიდან 38 პირის მიმართ არსებული შეტყობინებები გადაიგზავნა სხვა უწყებაში, ვინაიდან არ განეკუთვნებოდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას.

[98] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 27 დეკემბრის SIS 8 23 00024044 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 60.

[99] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 58.

[100] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2023 წლის ანგარიში.

საქმე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

საქმის შესახებ

საქმე ეხება მომჩივნის, საქართველოს ყოფილი შინაგან საქმეთა და პრემიერ-მინისტრის, უფლებათა დარღვევებს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა, რადგან ეროვნულმა სასამართლომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობა საკმარისი დასაბუთების გარეშე გააგრძელა.[101] გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ელ პუნქტთან ერთად მე-18 მუხლის დარღვევა, რადგან მომჩივნისთვის გაგრძელებული წინასწარი პატიმრობა გენერალურმა პროკურორმა არალეგიტიმური მიზნებისთვის - მომჩივანზე ზეწოლის მოსახდენად გამოიყენა, რათა მომჩივანს მისი სისხლის სამართლისგან დამოუკიდებელ სხვა საკითხებზე გაემჟღავნებინა ინფორმაცია. ამ ინციდენტზე ჩატარებული გამოძიებები ევროსასამართლომ არასათანადოდ მიიჩნია.

ზოგადი ღონისძიებების კუთხით არსებული აღსრულების პროცესის ხარვეზები

წინამდებარე ანგარიშის მომდევნო ქვეთავებში განხილულია ის საკითხები, რომლებიც მართალია არ არის ნახსენები სამინისტროს ანგარიშში, მაგრამ, სახალხო დამცველის პოზიციით, რელევანტურია მერაბიშვილის საქმის აღსრულების პროცესისთვის.

ვიდეო-ჩანაწერები პენიტენციურ სისტემაში

2023 წელს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, პენიტენციურ დაწესებულებებში გადაღებული ვიდეომასალის დაარქივების/შენახვის 30 დღიანი ვადა 10 დღემდე შემცირდა.[102] სამწუხაროდ, ეს ცვლილება მნიშვნელოვნად აუარესებს ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებრივ მდგომარეობას მათ მიმართ არასათანადო მოპყრობისა ან/და მათი უფლებების სხვაგვარი დარღვევის პრევენციის მიმართულებით.

ვიდეო ჩანაწერების შენახვის ვადად თავდაპირველად განსაზღვრული იყო 24 საათი, რაც პირველ ეტაპზე 5 დღემდე, მოგვიანებით კი 30 დღემდე გაიზარდა.[103] ვადის

---

[101] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე CASE OF MERABISHVILI v. GEORGIA (Application no. 72508/13).

[102] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2023 წლის 20 ოქტომბრის N941 ბრძანება „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

[103] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 41.

გახანგრძლივება დადებითად შეაფასა როგორც სახალხო დამცველმა, ისე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა.[104] შესაბამისად, 10 დღემდე ვადის შემცირება უკან გადადგმული ნაბიჯია, რადგან ვიდეოგადაღება და ვიდეოჩანაწერის შენახვისა და წარმოდგენის შესაძლებლობა მნიშვნელოვანი პრევენციული მექანიზმია დახურულ დაწესებულებაში მოთავსებული პირების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ასევე, ვიდეომასალა ნეიტრალური მტკიცებულებაა არასათანადო მოპყრობის შესაძლო შემთხვევის გამოძიების, დახურულ დაწესებულებაში თანამშრომელთა თვითნებობის აღკვეთისა და პასუხისმგებელი პირების გამოვლენისათვის. ვიდეოჩანაწერების წარმოება და დაარქივება საჭიროა არა მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაულის, არამედ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მიერ სხვა ტიპის გადაცდომების გამოვლენისა და პატიმართა კანონმდებლობით გარანტირებული უფლებების დაცვის კონტექსტში. ამგვარად, ჩანაწერების შენახვის ვადის შემცირებამ შესაძლოა შექმნას დაბრკოლება ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უფლებების შესაძლო დარღვევის ფაქტების ეფექტიანად გამოვლენისა და შესწავლის/გამოძიების თვალსაზრისით.[105]

ამ ცვლილების მიზეზად სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ფინანსური და ადამიანური რესურსის ზრდის საჭიროება დაასახელა.[106] უწყებასთან დამატებითი კომუნიკაციის მიუხედავად, სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს არ წარმოუდგენია არგუმენტაცია, თუ რა ობიექტურმა გარემოებებმა განაპირობა ფინანსური ხარჯისა და ადამიანური რესურსის გაზრდა, რამაც ვიდეოჩანაწერების შენახვის პერიოდის 3-ჯერ შემცირება გამოიწვია.[107]

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის N3, N11 და N8 დაწესებულების ნაწილში,[108] ვიდეო სამეთვალყურეო სისტემების განახლებამდე, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეო მასალის შენახვის ვადად, წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად,[109] კვლავ განსაზღვრულია არანაკლებ 120 საათი.[110]

---

[104] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2019 წელი, გვ. 29, იხ.: https://tinyurl.com/2p8z2n2a [ბოლოს ნანახია 13.05.2024]. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2019 წლის 4-6 ივნისს გამართულ 1348-ე შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 5, იხ.: https://bit.ly/3TgsMgx [ბოლოს ნანახია: 15.03.2024].

[105] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 41-42.

[106] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 41; სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 30 ნოემბრის № 333280/01 წერილი.

[107] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 41; სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 28 დეკემბრის № 363765/01 წერილი.

[108] N8 პენიტენციური დაწესებულების ნაწილი, რომელიც განთავსებულია ქ. თბილისში, აბუსერიძე-ტბელის ქ. №11.

[109] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 102-105.

[110] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2023 წლის 30 იანვრის N23854/01 წერილი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2024 წლის 9 იანვრის N5201/01 წერილი.

მნიშვნელოვანია, რომ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დროულად გამონახოს შესაბამისი რესურსი და ხსენებულ დაწესებულებებში გადაღებული ვიდეო მასალის შენახვა მოხდეს სხვა დაწესებულებების მსგავსად, ხოლო ყველა სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში კვლავ გაიზარდოს ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა.

პროკურატურის რეფორმა

მერაბიშვილის საქმის აღსრულების შესახებ ბოლო გადაწყვეტილებაში მინისტრთა კომიტეტმა /გაიმეორა თავისი პოზიცია "საპროკურორო საბჭოს შემადგენლობისა და უფლებამოსილებების გადახედვისა და პროკურორთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის კონკრეტული გარანტიების დადგენის შესახებ, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად".[111]

სამწუხაროდ, განუხორციელებელი რჩება პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმა და ამ მხრივ სახალხო დამცველისა და ვენეციის კომიციის მიერ გაცემული რეკომენდაციები.[112] კვლავ გადაუჭრელია ისეთი პრობლემური საკითხები, როგორებიცაა დაუბალანსებელი გადაჭარბებული (excessive) უფლებამოსილებები, საპროკურორო საბჭოს შემადგენლობა და ფუნქციები, ინდივიდუალურ პროკურორთა არასაკმარისი დამოუკიდებლობა.[113]

პროკურატურის რეფორმის კუთხით, გამოწვევაა საპროკურორო საბჭოს შემადგენლობისა და უფლებამოსილებების რეგულირება, რაც სახალხო დამცველმა არაერთხელ მიუთითა მინისტრთა კომიტეტისთვის წარდგენილ კომუნიკაციებსა და საპარლამენტო ანგარიშებში.[114] კერძოდ, საპროკურორო საბჭოს ფუნქციები შეზღუდული და არასაკმარისია გენერალური პროკურორის უფლებამოსილებების

---

[111] იქვე, პარაგრაფი 5.

[112] The European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 10, 20, available at: https://tinyurl.com/ycnhyavf [last accessed 13.03.2024].

[113] იქვე, გვ. 20-23; სახალხო დამცველის კომუნიკაცია (27/07/2021) საქმეში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი No. 72508/13), პარაგრაფები 7-9, იხ.: https://tinyurl.com/4ww59a3t [ბოლოს ნანახია 13.03.2024]; სახალხო დამცველის კომუნიკაცია (01/02/2021) საქმეში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი No. 72508/13), პარაგრაფები 1-19, იხ.: https://tinyurl.com/5cwa8c92 [ბოლოს ნანახია 13.03.2024]; სახალხო დამცველის კომუნიკაცია (20/01/2022) საქმეში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი No. 72508/13), პარაგრაფები 6-12, იხ.: https://tinyurl.com/mpsm92wk [ბოლოს ნანახია 13.03.2024].

[114] სახალხო დამცველის კომუნიკაცია (01/02/2021) საქმეში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი No. 72508/13), პარაგრაფები 3-13; სახალხო დამცველის კომუნიკაცია (27/07/2021) საქმეში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი No. 72508/13), პარაგრაფები 7-9; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 72; საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 68.

დასაბალანსებლად. სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად,[115] საპროკურორო საბჭო არ მონაწილეობს პროკურატურაში ქვემდებარეობის განსაზღვრისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომპეტენციების გამიჯვნის პროცესში.[116] მართალია საბჭოს უფლებამოსილებაა სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის ხელშემწყობი რეკომენდაციების შემუშავება და გენერალური პროკურორისათვის წარდგენა,[117] მაგრამ გენერალური პროკურორი განსაზღვრავს და ამტკიცებს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებს.[118] გარდა ამისა, კარიერის მენეჯმენტი, მათ შორის დისციპლინური საკითხების გადაწყვეტა, უმეტესად გენერალური პროკურორის კომპეტენციაა,[119] ხოლო ამ ნაწილში საპროკურორო საბჭოს როლი სუსტი და შეზღუდულია,[120] რაც ასევე აღნიშნა ევროპულმა კომისიამ.[121] დამატებით, გამოწვევას წარმოადგენს საბჭოს შემადგენლობა.[122] ვენეციის კომისიის თანახმად, საბჭოს დაკომპლექტების წესი, კერძოდ ის, რომ საბჭოს წევრების უმრავლესობას წარმოადგენენ პროკურორები, ვერ უზრუნველყოფს მის დამოუკიდებლობას საზოგადოების თვალში („public credibility of its independence“).[123] ამ მხრივ, ევროპული კომისიის თანახმად, საჭიროა, მათ შორის, საბჭოს შემადგენლობის გადახედვა პროკურორ და არაპროკურორ წევრებს შორის უკეთესი ბალანსის მისაღწევად.[124]

პროკურატურის რეფორმა საჭიროა პროკურორთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გაძლიერების მიმართულებითაც. კერძოდ, ევროპული კომისიის

---

[115] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 72.

[116] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, მუხლი 7.

[117] იქვე, მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

[118] იქვე, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი.

[119] იქვე, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის ა, ს, ტ, ტ1, შ, ჩ, ც ქვეპუნქტები; The European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 24.

[120] საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები და მე-17 პუნქტი; The European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 21.

[121] The European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 22, 24.

[122] სახალხო დამცველის კომუნიკაცია (01/02/2021) საქმეში მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ (Application No. 72508/13), პარაგრაფები 10-14; Opinion of the Venice Commission, CDL-AD(2018)029, 17 December 2018, პარაგრაფი 33, იხ.: https://tinyurl.com/4nhxaepm [ბოლოს ნანახია 13.05.2024]; საქართველოს ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-20 მუხლის მე-9 პუნქტი.

[123] Opinion of the Venice Commission, CDL-AD(2018)029, 17 December 2018, პარაგრაფი 33.

[124] The European Commission, Georgia 2023 Report accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, 2023 Communication on EU Enlargement policy, გვ. 22.

ანგარიშში დასახელებულია დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად საჭირო გარანტიები, რომლებსაც არ ითვალისწინებს „პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონი (ზემდგომი პროკურორის ვალდებულება წერილობით გასცეს მითითებები, ქვემდგომი პროკურორის უფლება და ვალდებულება, რომ მიუთითოს მიღებული ინსტრუქციის უკანონობა; დამოუკიდებელი მექანიზმის მიერ მითითებების კანონიერების განხილვა).[125] გარდა ამისა, ევროპული კომისია პრობლემურად მიიჩნევს ზემდგომი პროკურორის უფლებამოსილებას, რომ დასაბუთების გარეშე ქვემდგომი პროკურორი ჩამოაშოროს გამოძიებას და მისი ვალდებულებები დააკისროს სხვა პროკურორს.[126] შესაბამისად, ევროპული კომისიის პოზიციით, საჭიროა საკანონმდებლო მოწესრიგება შესაბამისობაში მოვიდეს ევროპულ სტანდარტებთან, ვენეციის კომისიის და OECD-ის რეკომენდაციის გათვალისწინებით.[127]

[125] იქვე, გვ. 23.
[126] იქვე.
[127] იქვე.

„თხელიძის ჯგუფის“ საქმეები

„თხელიძის ჯგუფის“ საქმეების შესახებ

„თხელიძის ჯგუფში“ გაერთიანებულ გადაწყვეტილებებში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადინა, რომ სახელმწიფომ დაარღვია პოზიტიური ვალდებულება, მიეღო პრევენციული ზომები მომჩივანთა ქალი ოჯახის წევრების დასაცავად ოჯახური ძალადობისგან, რასაც საბოლოოდ მათი მკვლელობა მოჰყვა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სახელმწიფომ არ გამოიძია სამართალდამცავთა უმოქმედობა, სისტემური დარღვევებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის ფონზე.

ზოგადი ღონისძიებები

პოლიტიკის დოკუმენტები

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის 23 მარტს დაამტკიცა.[128] სახალხო დამცველის აპარატმა სტრატეგიის სამუშაო ვერსიაზე კომენტარები წარადგინა. სამწუხაროდ, დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში არ აისახა აპარატის პოზიცია, მათ შორის კი, მაგალითად, რეკომენდაცია ცალკე ქვეთავად ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის გამოყოფისა და შესაბამისი ამოცანებისა და ინდიკატორების განსაზღვრის შესახებ.[129]

ზემოაღნიშნული სტრატეგიის გარდა, სამინისტროს ანგარიშში დასახელებულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია. სახალხო დამცველის აპარატი ამ დოკუმენტსაც გაეცნო და არაერთი ხარვეზი გამოკვეთა. კერძოდ, დოკუმენტში არ არის გათვალისწინებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მაგალითად: გეგმის შესრულების მონიტორინგი, რელევანტური საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება, ძალადობის მსხვერპლთათვის განკუთვნილი სერვისების გეოგრაფიული დაფარვის გაზრდა, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შესახებ მოსამართლეებისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლების გადამზადება და ა.შ. სახალხო დამცველის აპარატმა სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსიაზე კომენტარები წარადგინა. ვიმედოვნებთ, რომ ისინი აისახება საბოლოო დოკუმენტში.

---

[128] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 88.

[129] სახალხო დამცველის 2023 წლის ნოემბრის კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს თხელიძის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ, პარაგრაფი 10, იხ.: https://tinyurl.com/3taffa5w [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

ინსტიტუციური მექანიზმები გენდერული თანასწორობისთვის

სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, „გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების დაცვისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად და სამართლებრივი გარანტიების ფაქტობრივი რეალიზაციის ხელშესაწყობად, სახელმწიფო ხელისუფლების დონეზე სხვადასხვა ინსტიტუტი მოქმედებს".[130] ანგარიშის თანახმად, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა დადებითად შეაფასა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ეროვნული მექანიზმების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.[131] კომიტეტმა თავის დასკვნაში მართლაც აღნიშნა ქალთა გასაძლიერებლად მიღებული ზომები, კონკრეტულად კი პოლიტიკის სფეროში გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნა და მუნიციპალიტეტებში გენდერული თანასწორობის საკითხებზე მრჩევლების დანიშვნა 2019 წელს.[132] მიუხედავად ამისა, კომიტეტი კრიტიკულია ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის გაძლიერების ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც, კომიტეტის შეფასებით, სუსტია კოორდინაციისა და ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო.[133] გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ნაკლოვანებები წარმოჩენილია სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებშიც.[134]

ეროვნული კანონმდებლობა/რეგულაციები

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, 2023 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად, ძალადობა გამოვლილი პირებისათვის სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის წინაპირობა აღარ არის მსხვერპლის/დაზარალებულის სტატუსის მოპოვება.[135] ანგარიშის თანახმად, ამ ცვლილებით უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა სტამბოლის კონვენციის დებულებებთან - „მსხვერპლების მიერ მხარდაჭერის სერვისებით მარტივად და შეუფერხებლად სარგებლობა (ბარიერების გარეშე)".[136] სახალხო დამცველი მიესალმება, რომ 2023 წლიდან ძალადობის მსხვერპლები სახელმწიფო სერვისს

---

[130] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 88.

[131] იქვე, გვ. 89.

[132] Concluding observations on the 6th periodic report of Georgia : Committee on the Elimination of Discrimination against Women, პარაგრაფი 17, იხ.: https://digitallibrary.un.org/record/4007519?v=pdf [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[133] იქვე.

[134] საქართველოს სახალხო დამცველი, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება, 2022, იხ.: https://tinyurl.com/3wu585vb [ბოლოს ნანახია 14.05.2024]; საქართველოს სახალხო დამცველი, გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმების ეფექტიანობის შეფასება საქართველოში, 2021, იხ.: https://tinyurl.com/ynpkf2na [ბოლოს ნანახია 15.04.2024].

[135] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 90.

[136] იქვე.

სპეციალური სტატუსის მინიჭების გარეშე იღებენ. მიუხედავად ამისა, კვლავ საჭიროა გაგრძელდეს სტამბოლის კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციის პროცესი, რადგან, წინა წლების მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა სრულყოფილად არ შეესაბამება კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, სექსუალური ძალადობის დანაშაულების განმარტებები დაზარალებულის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობას არ ემყარება.[137] დანაშაულის კვალიფიკაციისთვის კვლავ სავალდებულოა ფიზიკური ძალადობის, ძალადობის მუქარის ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით სექსუალური ძალადობის განხორციელება. ამასთან, სსკ-ის 139-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების დანაშაული, რომელიც უნდა მიიჩნეოდეს, როგორც გაუპატიურების ტოლფასი ქმედება, ნაკლებად მძიმე დანაშაულების კატეგორიაში ხვდება და სასჯელის სახით, მათ შორის, ჯარიმას ითვალისწინებს და სრული მოცულობით პირობითი მსჯავრის დაკისრების შესაძლებლობას ტოვებს.[138] გარდა ამისა, კვლავ კონკრეტულად არ არის კრიმინალიზებული სექსუალური ძალადობის ისეთი სახე, როგორიც არის სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტი მესამე პირთან.[139] გარდა ამისა, დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებად მართალია განსაზღვრულია დანაშაულის ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ, მაგრამ კანონმდებლობაში ასევე უნდა აისახოს სექსუალური ძალადობის განხორციელება პარტნიორის მიმართ, რომელიც ერთობლივ თანაცხოვრებაში არ არის ან არ იყო მოძალადესთან.[140] კანონმდებლობა კვლავ არ ითვალისწინებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის სქესობრივი დანაშაულის შედეგად, დაზარალებულის დაკითხვის დისტანციურად ჩატარების ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობას.[141] სამწუხაროდ, ბრალდებულის თანდასწრებით დაზარალებულის დაკითხვა კვლავ ძირითადი პრაქტიკაა.[142]

2023 წელს პარლამენტის, სახელმწიფო უწყებების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების და სახალხო დამცველის წარმომადგენლებისგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სისხლის სამართლის კოდექსის 137-139-ე მუხლებში შესატანი

---

[137] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (2021-2022).
[138] იქვე.
[139] იქვე.
[140] იქვე.
[141] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 199.
[142] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (2021-2022).

ცვლილებები, მაგრამ სახელმწიფოს კანონპროექტის დასამტკიცებლად ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.[143]

სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების“ შესახებ მთავრობის დადგენილება დამტკიცდა 2024 წლის 22 იანვარს და განსაზღვრავს „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროული გამოვლენისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად სახელმწიფო ორგანოების უფლება-მოვალეობებსა და კოორდინაციის წესს“.[144] სამწუხაროდ, დოკუმენტი არა მხოლოდ წლების დაგვიანებით დამტკიცდა, არამედ ზოგადი შინაარსისაა და დეტალურად არ განსაზღვრავს უწყებების კონკრეტულ პასუხისმგებლობებს და განსახორციელებელ ღონისძიებებს, კოორდინაციის გასაუმჯობესებლად გადასადგმელ კონკრეტულ ნაბიჯებს.[145] გარდა ამისა, პრობლემურია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, წესი არ შეცვლილა და სახელმწიფო ზიანს კვლავ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ანაზღაურებს, როდესაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ამოღებული თანხა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ოდენობის 40%-ზე ნაკლებს შეადგენს.[146] ასევე, არ დადგენილა კომპენსაციის სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მისი შეურაცხადობის თუ გარდაცვალების გამო.[147] ანაზღაურების მიმღები პირების რაოდენობის გაზრდის მიზნით, აუცილებელია საზოგადოების მეტად ინფორმირება ამგვარი შესაძლებლობის შესახებ.[148] ბოლოს, სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად,[149] არ დამტკიცებულა სოციალური მუშაკებისთვის

---

[143] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 199.

[144] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 89.

[145] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 200.

[146] იქვე.

[147] იქვე.

[148] იქვე, გვ. 200-201; 2023 წელს სააგენტოში შევიდა 14 განცხადება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის კომპენსაციის გაცემის მოთხოვნით. საიდანაც 10 დაკმაყოფილდა, 3 შემთხვევაში მიმდინარეობს წარმოება და 1 შემთხვევა თავად განმცხადებელმა გაიხმო. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2024 წლის 18 იანვრის წერილი №SCA 2 24 00060715;

[149] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2020 წელი, გვ. 210, იხ.: https://tinyurl.com/kxmj4urs [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მუშაობისთვის სპეციალური სახელმძღვანელო წესები.[150]

პრევენციული ზომები

სამწუხაროდ, ფემიციდისა და, ზოგადად, გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის პრევენცია კვლავ მწვავე გამოწვევას წარმოადგენს. 2023 წელსაც გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც, შესაძლო ძალადობის შესახებ სახელმწიფოს ინფორმირებულობის მიუხედავად, ქალის მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა.[151] ფემიციდის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციული რგოლის ჩავარდნის ცხადი მაგალითი იყო 14 წლის გოგონას მკვლელობა 2023 წლის ოქტომბერში. გავრცელებული ინფორმაციით, 2023 წლის ზაფხულში, გოგონას უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება, ქორწინების იძულების მიზნით, და მას 2 თვის განმავლობაში ჰქონდა შეზღუდული გადაადგილების თავისუფლება.[152] მედიის თანახმად, არასრულწლოვანი არ დადიოდა სკოლაში, რაც დმანისის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა დაადასტურა.[153] შესაბამისად, მნიშვნელოვანია გამოკვლეულ იქნეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაძლო არაჯეროვანი პრევენციული მოქმედებისა და რეაგირების საკითხიც. გოგონას მკვლელობა კიდევ ერთხელ ადასტურებს ძალისხმევის გაძლიერების საჭიროებას პრევენციის მიმართულებით, რაც უნდა მოიცავდეს როგორც ყველა პასუხისმგებელი უწყების მუშაობის გაუმჯობესებას, ისე გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული ტრადიციების, დამოკიდებულებებისა და მავნე პრაქტიკების აღმოსაფხვრელად უფრო ეფექტიანი ზომების მიღებას.

სამინისტროს ანგარიშში აღნიშნულია 2023 წლის მაისში განახლებული რისკების შეფასების ინსტრუმენტის ამოქმედება და ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენების შემთხვევების ზრდა.[154] ამ ცვლილებასთან დაკავშირებით, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა სახელმწიფოს, რომ ხსენებული მექანიზმების ეფექტიანად გამოყენება კვლავ გააძლიეროს, მათ შორის, პოლიციელთა უნარებისა და ცოდნის გაუმჯობესებით.[155] ამ მიმართულებით მართლაც საჭიროა

---

[150] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 200.

[151] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 34.

[152] 14 წლის გოგოს მკვლელობაში ბრალდებული მამაკაცის ნათესავებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ, იხ.: https://civil.ge/ka/archives/563559 [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[153] "სკოლაში არ დადიოდა, დედამ გვითხრა, კახეთშია დასასვენებლადო" - რა ვიცით 14 წლის გოგოს მკვლელობაზე, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/32627314.html [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[154] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 94.

[155] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 3, იხ.: https://tinyurl.com/5aj2hpyp [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

მუშაობის გაგრძელება, რადგან 2023 წელს პრობლემად გამოიკვეთა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ზოგიერთ საქმეში რისკის შეფასებაზე უარის თქმა არასათანადო მიზეზით.[156] კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად რაიმე სახის სამართლებრივ საფუძველს არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პრაქტიკაში რისკის შეფასების დოკუმენტის შესავსებად სამართლებრივ საფუძველს ითხოვენ და ძალადობის მსხვერპლი ქალების გამოკითხვის შემდგომ წყვეტენ, შეავსონ თუ არა რისკის შეფასების დოკუმენტი და, შესაბამისად, გამოსცენ თუ არა შემაკავებელი ორდერი.[157]

სამწუხაროდ, ფემიციდის პრევენციას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სასამართლოც. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თანახმად, კონვენციასთან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობისთვის აუცილებელია მეტი ძალისხმევა, მათ შორის კი უფრო შემაკავებელი (dissuasive) სასჯელების გამოყენება.[158] ამ პრობლემის მაგალითია ქალის მიმართ ძალადობის საქმეში, პატიმრობის მაგივრად, გირაოს გამოყენება, რის შედეგადაც ბრალდებულს მიეცა დაზარალებულის მკვლელობის შესაძლებლობა.[159] გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა ფემიციდის შემთხვევების მონიტორინგისას შეისწავლა განაჩენები, რომლებშიც სასამართლო იყენებს პირობით მსჯავრს და, შედეგად, ძალადობის მსხვერპლ ქალი დაუცველი რჩება დანაშაულის განმეორების საფრთხის წინაშე.[160] ამასთანავე, კვლავ გამოწვევაა სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1] მუხლის გამოყენება. ამ ნორმის თანახმად, თუ კვალიფიკაციაში განსაზღვრული არ არის გენდერის ნიშანი, თუმცა მოსამართლე თავად დაადგენს გენდერულ მოტივს, ის ვალდებულია სასჯელის მინიმალურ ზომაზე ერთი წლით მეტი ხანგრძლივობის თავისუფლების აღკვეთა გამოიყენოს. ამ დანაწესის მიუხედავად, სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო ცალკეულ შემთხვევებს, რომლებშიც იკვეთებოდა დანაშაულებრივი ქმედების გენდერის ნიშნით ჩადენა, მაგრამ სასამართლომ გენდერის ნიშანზე არ იმსჯელა და სასჯელის შეფარდებისას არ იხელმძღვანელა 53[1] მუხლით. ამდენად, ცალკეულ შემთხვევებში პრობლემურია სასამართლოს მიერ სასჯელის დამძიმება გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის გამო, როდესაც ეს ნიშანი არ იყო ქმედების მაკვალიფიცირებელი გარემოება, თუმცა საქმის მასალებით იკვეთებოდა დანაშაულის გენდერული მოტივაცია. დანაშაულის რისკების არასათანადოდ შეფასებისა და

---

[156] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 201.

[157] იქვე.

[158] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 5.

[159] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი.

[160] იქვე.

არასაკმარისად მკაცრი სასჯელის გამოყენების ფონზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნულ საკითხებზე მოსამართლეების გადამზადება. ასეთ აქტივობას, სამწუხაროდ, არ ითვალისწინებდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია, რომელსაც სახალხო დამცველის აპარატი გაეცნო. იმედია, რომ აპარატის რეკომენდაციის გათვალისწინებით სამოქმედო გეგმაში აისახება მოსამართლეთა გადამზადების კომპონენტი.

ბოლოს, ფემიციდის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის პრევენციისათვის ასევე მნიშვნელოვანია მოძალადეთა ქცევის გამოსწორება. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამებში მოძალადეთა ჩართულობის გასაზრდელად.[161] ასევე, არ შემოღებულა ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამა იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც დამცავი ორდერია გამოცემული.[162]

გენდერული ნიშნის იდენტიფიცირება

სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, 2023 წელს შენარჩუნდა გენდერული დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენის იდენტიფიცირების ზრდის ტენდენცია.[163] სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება გენდერული მოტივის გამოკვეთის მხრივ მიღწეულ წინსვლას. ამავდროულად, ამ პროგრესის მიუხედავად, ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის მონიტორინგისას აპარატის მიერ შესწავლილ რიგ საქმეებში გამოიკვეთა გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულის სახელდების პრობლემა როგორც გამოძიების, ისე სასამართლო ეტაპზე.[164] კერძოდ, ბრალდების შესახებ შესწავლილი 30 დადგენილებიდან 20 შემთხვევაში მითითებული იყო დანაშაულის ჩადენის გენდერული მოტივის შესახებ.[165] მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა სისხლის სამართლის ცალკეული საქმეებიც, რომლებშიც გამოძიებამ ან ვიწროდ განმარტა გენდერის ნიშანი ან საერთოდ არ შეისწავლა საქმე გენდერული ხედვით.[166] რიგ საქმეებში მოტივის დადგენისთვის საკმარისი ინფორმაციის მიუხედავად, პროკურატურის მიერ არ მომხდარა დანაშაულის გენდერულად მოტივირებულად სახელდება.[167] ქმედების არასწორი კვალიფიკაცია პრობლემური

---

[161] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 201.

[162] იქვე, გვ. 202.

[163] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 92.

[164] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 34.

[165] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი.

[166] იქვე.

[167] იქვე.

იყო, მაგალითად, იმ შემთხვევებში, რომლებშიც ნათლად იკვეთებოდა ბრალდებულის მიერ ეჭვიანობა/მესაკუთრული დამოკიდებულება.[168]

გენდერული მოტივის დადგენა გამოწვევას წარმოადგენს სასამართლოსთვისაც. ამ მხრივ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თანახმად, კონვენციასთან სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობისათვის საჭიროა მეტი ძალისხმევა, მათ შორის კი გენდერული მოტივის სათანადოდ შესწავლა.[169] სახალხო დამცველის აპარატის მიერ ფემიციდის და ფემიციდის მცდელობების მონიტორინგით იკვეთება, რომ მოსამართლეებს ერთმანეთისგან განსხვავებულად ესმით გენდერული ნიშნის შინაარსი.[170] პირველი ინსტანციის მოსამართლეებს მეტი გამოწვევა აქვთ გენდერული ნიშნის ფართოდ განმარტების თვალსაზრისით.[171] მართალია შესწავლილი გადაწყვეტილებების დასაბუთებაში მოხმობილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, მაგრამ ხშირად პრეცედენტული სამართალი ციტირებული იყო შაბლონურად და ევროპული სასამართლოს სტანდარტები კონკრეტული რელევანტური ფაქტობრივი გარემოებების ანალიზში არ ჰპოვებდა ასახვას.[172]

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატმა ცალკე შეისწავლა საქართველოში 2021-2022 წლებში მართლმსაჯულების განხორციელება ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე, რომლებიც თავისი არსით გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულებია.[173] კვლევის შედეგად ჩანს, რომ ამ ტიპის საქმეებში გენდერული მოტივის დანახვა და სათანადო გამოკვეთა მართლმსაჯულების ორგანოებისთვის, გარკვეულწილად, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს. შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, სასამართლო განმარტავს, რომ სექსუალური ძალადობა არის გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, რომელიც, უმეტესწილად, მიმართულია ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ.[174]

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება

სამინისტროს ანგარიშში აღწერილია გენდერულ თანასწორობაზე, ფემიციდისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თაობაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მონაწილეობით

---

[168] იქვე.

[169] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 5.

[170] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2022 წელს მომხდარი ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეთა ანალიზი.

[171] იქვე.

[172] იქვე.

[173] GREVIO's (Baseline) Evaluation Report Georgia, პარაგრაფი 2, 2022, იხ.: https://tinyurl.com/5hxv2kwr [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[174] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (2021-2022).

გამართული სხვადასხვა ღონისძიება.[175] სახალხო დამცველი მიესალმება გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად და გენდერული მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან საბრძოლველად ჩატარებულ საინფორმაციო ღონისძიებებს. ამავდროულად, საყურადღებოა, რომ ზემოხსენებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და მავნე სტერეოტიპების აღმოფხვრას ხელს უშლის დისკრიმინაციული განცხადებები. სამწუხაროდ, 2023 წელს პრობლემური იყო საჯარო პირების/პარლამენტარების მიერ გაკეთებული სექსისტური შინაარსის და დისკრიმინაციის გამაძლიერებელი განცხადებები/გამონათქვამები საჯარო/პოლიტიკურ/საზოგადოებრივ სფეროში ჩართული ქალების მიმართ.[176] სახალხო დამცველი გმობს საზოგადოებრივად და სოციალურად აქტიურ ქალთა მიმართ სექსისტურ დამოკიდებულებასა და დისკრიმინაციის წამახალისებელ გამონათქვამებს, რაც ლახავს ადამიანის პატივსა და ღირსებას, აკნინებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და აძლიერებს ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში დამკვიდრებულ არასწორ და დამამცირებელ სტერეოტიპებს.

2023 წელს ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში აპარატის მიერ მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ საზოგადოების სტერეოტიპული დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი კვლავ გამოწვევაა. მსხვერპლთა უმეტესობა თავშესაფარში სწორედ მხარდამჭერი წრის არარსებობის გამო მოხვდა, მაგალითად, ერთ-ერთი ბენეფიციარის თქმით, როდესაც ოჯახში ძალადობის შესახებ განაცხადა „ყველამ გარიყა“.[177]

მსხვერპლთა მხარდამჭერი სერვისები

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, „2023 წლის 11 ივლისს დამტკიცდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში

[175] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 92, 95, 96.

[176] ირაკლი ბერაია თეონა აქუბარდიას: „მისნაირებთან და ვიღაც-ვიღაცებთან სელფების გადაღებისა და გაფეისბუქების საშუალება, აეროპორტის ლაუნჯებში შესვლის, იქ გასკდომისა და გამოთრობის საშუალება და გაშხლართვის. ვინც მას იცნობს, ძალიან კარგად მიხვდება, მე რაზე ვსაუბრობ. და შესაბამისად, მოვუწოდებ ამ ადამიანს, მისი გრძელი და ყველგან ნამყოფი ენით, ჩემი და ჩემი კომიტეტის სახელის ხსენებისგან თავი შეიკავოს“, 2023 წლის 31 ოქტომბერი, იხ.: https://www.youtube.com/watch?v=zyb7RiCYptM [ბოლოს ნანახია 13.05.2024]; სახალხო დამცველის განცხადება ქალი დეპუტატების მისამართით გამოთქმულ უხამს და შეურაცხმყოფელ რეპლიკებთან დაკავშირებით, იხ.: https://tinyurl.com/yckyphsa [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[177] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2023 წელი.

ძალადობის მსხვერპლთა დროებითი საცხოვრებლის (თავშესაფრის) მოწყობისა და ფუნქციონირების (მომსახურების) მინიმალური სტანდარტების“ თაობაზე“.[178] სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ მსხვერპლის მხარდამჭერი სერვისების რეგულირების დახვეწასთან ერთად მნიშვნელოვანია პრაქტიკაში მდგომარეობის გაუმჯობესება. ეს გამოწვევა კვლავ გამოიკვეთა 2023 წელს ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში აპარატის მიერ მონიტორინგისას. გამოვლინდა არაერთი პრობლემა, მათ შორის კი თავშესაფრებში სოციალური რეაბილიტაციის აქტივობების სიმცირე და სარემონტო სამუშაოებისა და ინვენტარის გამოცვლის საჭიროება, თავშესაფრებისთვის საბაზო ჰიგიენური და პირადი საჭიროების ნივთების ერთიანი ჩამონათვალის არარსებობა, კრიზისულ ცენტრებში არასაკმარისი ადამიანური და მატერიალური რესურსები და ა.შ.[179] გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატის მიერ თავშესაფარში მყოფ ძალადობის მსხვერპლებთან და დაზარალებულებთან გასაუბრებისას მიღებული ინფორმაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მსხვერპლების დიდ ნაწილს დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია თავშესაფარში მოხვედრამდე ნაკლებად ჰქონდა.[180] ამ მხრივ პრობლემა, განსაკუთრებით, გამოიკვეთა ეთნიკურად აზერბაიჯანელი არასრულწლოვანი მსხვერპლების შემთხვევაში.[181] გამოკითხული ბენეფიციარების უმეტესობისთვის ასევე არ იყო ცნობილი ქალთა მიმართ/ოჯახში ძალადობის საკითხებზე საკონსულტაციო ცხელი ხაზის შესახებ (116 006).[182] აღნიშნული მიუთითებს, როგორც ცნობიერების ასამაღლებლად მუშაობის გაგრძელების საჭიროებაზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე აქცენტით, ასევე თავშესაფრის სერვისის მიმღები პირებისთვის, მათთვის გასაგებ ენაზე, საჭირო ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობაზე.

მსხვერპლთა მხარდაჭერის მხრივ, ასევე რელევანტურია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართულობა. სახალხო დამცველის აპარატმა პროკურატურისგან გამოითხოვა სტატისტიკა. მიღებული მონაცემების მიხედვით,

---

[178] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 90.

[179] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებების მონიტორინგის ანგარიში, 2023 წელი.

[180] იქვე: სულ გასაუბრება განხორციელდა 15 ბენეფიციართან (ასევე, დამატებით 5 ბენეფიციართან) საიდანაც 7 ბენეფიციარი იყო არასრულწლოვანი, თუმცა თავშესაფარში დამოუკიდებლად იყვნენ განთავსებული. 1 სრულწლოვან ბენეფიციართან ჩატარდა გასაუბრება ბათუმში, 2 სრულწლოვან ბენეფიციართან ქუთაისი, 2 არასრულწლოვან ბენეფიციართან თბილისში, 1 სრულწლოვან და 1 არასრულწლოვან ბენეფიციართან სიღნაღში, 4 სრულწლოვან და 4 არასრულწლოვან ბენეფიციართან გორში. გარდა აღნიშნული 15 ბენეფიციარისა, 1 სრულწლოვან ტრეფიკინგის მსხვერპლთან გასაუბრება გაიმართა გორის თავშესაფარში და 3 სრულწლოვან ტრეფიკინგის მსხვერპლთან ქუთაისში.

[181] იქვე: გამოკითხული, აზერბაიჯანელი ეროვნების, ოთხი ბენეფიციარიდან სამმა მიუთითა, რომ დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

[182] იქვე.

2023 წელს ოჯახში ძალადობასა და ოჯახური ნიშნით ჩადენილი დანაშაულებზე 5286 პირის მიმართ დაიწყო დევნა და 18 წელს მიღწეული 4542 ქალი იყო მსხვერპლი, ხოლო მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ჩაერთო მხოლოდ 1704 საქმეში.[183] შესაბამისად, ჩართულობა არასაკმარისია.

[183] საქართველოს პროკურატურის 2024 წლის 24 იანვარი №13/4255 წერილი.

„იდენტობის ჯგუფის“ საქმეები

„იდენტობის ჯგუფის“ საქმეების შესახებ

„იდენტობის ჯგუფში“ გაერთიანებული საქმეები ეხება შეკრებებისა და მსვლელობების მიმდინარეობისას კერძო პირთა მიერ ჰომოფობიური ან რელიგიური ნიშნით ჩადენილი თავდასხმებისგან მომჩივნების არასათანადო დაცვას სახელმწიფოს მიერ, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის ნიადაგზე საპოლიციო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და აღნიშნულ ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიებების არარსებობას.

ზოგადი ღონისძიებები

პოლიტიკის დოკუმენტები

სამინისტროს ანგარიშში ნახსენებია ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება.[184] ამ მხრივ, როგორც სახალხო დამცველმა, ისე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა გააკრიტიკა ეროვნულ სტრატეგიაში ლგბტ+ თემის საჭიროებების გაუთვალისწინებლობა.[185] დამატებით, მინისტრთა კომიტეტის პოზიციით, ხელისუფლებას სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში უნდა გაეთვალისწინებინა ყოვლისმომცველი, ინკლუზიური ზომები ლგბტ+ თემის საჭიროებების გადასაჭრელად.[186] სამწუხაროდ, არც საბოლოოდ მიღებული სამოქმედო გეგმის დოკუმენტი შეიცავს ამგვარ ზომებს ისევე, როგორც „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“.[187]

---

[184] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 69-70.

[185] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2023 ოქტომბრის კომუნიკაცია, პარაგრაფი 18, იხ.: https://tinyurl.com/8upcbnhc [ბოლოს ნანახია 13.05.2024]; ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 7, იხ.: https://tinyurl.com/39966e8u [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

[186] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 7.

[187] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 187; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (N9) დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 13, იხ.: https://tinyurl.com/mrxsrkvy [ბოლოს ნანახია 13.05.2024].

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა

სამინისტროს ანგარიშში გადმოცემულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1483-ე სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი.[188] ანგარიშში არ არის მითითებული ამ გადაწყვეტილების ის ნაწილი, რომელიც ეხება ლგბტ+ თემის მიერ შეკრების უფლების რეალიზებას. კერძოდ, მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, შეკრებების უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველსაყოფად კოორდინირებული, ეფექტიანი, ორგანიზაციული და პრევენციული ზომების მიღებით აჩვენოს, რომ აშკარა პრიორიტეტია ლგბტ+ თემის მიერ შეკრების თავისუფლებით სრულყოფილი სარგებლობა.[189]

2023 წლის 8 ივლისს, „თბილისი პრაიდის“ ფესტივალის ირგვლივ განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლგბტ+ თემის დაცვა, ამ მასშტაბის ძალადობის და დისკრიმინაციის მხოლოდ საპოლიციო ძალების გამოყენებით შეჩერება შეუძლებელია და ხშირად - არასაკმარისიც. ამ გამოწვევის დასაძლევად საჭიროა კომპლექსური, დროში გაწერილი და სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების გატარება, სხვადასხვა უწყების და ფართო საზოგადოების ჩართულობით.[190]

კონტრშეკრებების გამართვასთან დაკავშირებით განსაკუთრებით პრობლემური იყო 2023 წლის 8 ივლისის პრაიდის ღონისძიების საპირისპიროდ, რადიკალური ჯგუფების მიერ პრაიდის ღონისძიების ჩაშლის მიზნით შეკრება. სახალხო დამცველი მიუთითებს, რომ ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, ასეთ შემთხვევებში შეფასდეს კონტრდემონსტრანტების მიერ სიძულვილის ენის, განსაკუთრებით კი, ჰომოფობიური მნიშვნელობის მქონე განცხადებების გამოყენება, ასევე, შესაბამისი ქმედებები. ამ საკითხის გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, არის თუ არა დაცული უფლების კონსტიტუციური ფარგლები.[191]

---

[188] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 79-80.

[189] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 4.

[190] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 185.

[191] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წელი, გვ. 165.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე რეაგირება

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, 2023 წელს დაფიქსირდა შეუწყნარებლობის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.[192] ერთი მხრივ, ზოგადად მისასალმებელია სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის გაუმჯობესება, ხოლო მეორე მხრივ, კვლავ შენარჩუნებულია სერიოზული გამოწვევები სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სათანადო რეაგირების კუთხით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული ძალადობისა და დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელისუფლებამ უნდა გამოიჩინოს მყარი მონდომება/ძალისხმევა („commitment“) ძალადობის ორგანიზატორთა და წამახალისებელთა მიმართ სამართლის აღსრულებით დაყოვნების გარეშე.[193] ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, წინ არ გადადგმულა ნაბიჯები, რასაც ადასტურებს მართლმსაჯულების არასათანადოდ განხორციელება 2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შემთხვევაში.[194] კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა გამოძიებისა და სასამართლო პროცესების შეფასებისას აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობდა ჯგუფური ძალადობის ორგანიზატორების მიმართ და სასამართლოს მიერ განხილულ იქნა მხოლოდ ძალადობის ცალკეული ეპიზოდები და დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ ამსრულებლები.[195] სამწუხაროდ, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდება კონკრეტულ პირებს კვლავ არ წარდგენიათ და არ გამოკვეთილა ძალადობის ჩამდენი სხვა ამსრულებელი პირები.[196]

არასათანადოა სახელმწიფოს რეაგირება 2023 წლის 8 ივლისის მოვლენებზეც. კერძოდ, 8 ივლისს დანაშაულზე წასწრების მიუხედავად, სისხლის სამართლის წესით ადგილზე არავინ დაუკავებიათ.[197] შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადმინისტრაციული წესით დააკავა მხოლოდ 2 მონაწილე.[198] უწყებას შეეძლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების დაწყება შემდეგ დღეებშიც, რადგან ვიდეოჩანაწერებში ნათლად

---

[192] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 71.

[193] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 3.

[194] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში, გვ. 81-88

[195] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2023 წლის ანგარიში, გვ. 176.

[196] იქვე.

[197] იქვე, გვ. 175.

[198] იქვე, გვ. 174.

ჩანდა კანონდამრღვევი პირები. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში, 2 პირის გარდა, სხვა არავინ მიუციათ.[199] გამოძიება დაიწყო 2 საქმეზე. კერძოდ, გამოძიება დაიწყო პოლიციელის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე (სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით).[200] გარდა ამისა, გამოძიება ასევე წარიმართა 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო შემდგომ გაგრძელდა ამ ნორმებითა და 156-ე მუხლის პირველი ნაწილით.[201] სახალხო დამცველის აპარატი სწორად მიიჩნევს გამოძიების სსკ-ის 156-ე მუხლით მიმდინარეობას, თუმცა პრობლემაა, რომ არცერთ საქმეზე სისხლისსამართლებრივი დევნა 7 თვეზე მეტი პერიოდის შემდეგაც დაწყებული არ არის, ხოლო „თბილისი პრაიდის” ფესტივალის მონაწილეებს, ასევე, კერძო მესაკუთრეებს, რომელთა ნივთები განადგურდა და მოიპარეს, დაზარალებულის სტატუსი მინიჭებული არ აქვთ.[202] 2023 წლის 8 ივლისის მოვლენების გარდა, დაზარალებულის სტატუსის მიუნიჭებლობის და ბრალის წარუდგენლობის პრობლემა იკვეთება სახალხო დამცველის მიერ შესწავლილ სხვა საქმეებშიც.[203]

საზოგადოების ცნობიერება და ტოლერანტობა

სამინისტროს ანგარიშში აღწერილია პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით ჩატარებული ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობები.[204] სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება საზოგადოებაში თანასწორობის პატივისცემის გაძლიერებას. ამავდროულად, აპარატი მიიჩნევს, რომ საჭიროა ამ მიმართულებით მეტი ძალისხმევა. დისკრიმინაციის წამახალისებელი საჯარო გამოხატვა კიდევ უფრო მეტად აძლიერებს დაუცველი ჯგუფების/უმცირესობების მიმართ უარყოფით დამოკიდებულებებს, რის წინააღმდეგაც ბრძოლა საზოგადოების თითოეული წევრის პასუხისმგებლობაა.[205] შესაბამისად, სახალხო დამცველი, განსაკუთრებით საჯარო პირებს, დამსაქმებლებს, და ჟურნალისტებს/მედიის წარმომადგენლებს მოუწოდებს, არ დაუშვან დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელება და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ საკუთარ როლს საზოგადოებაში დამკვიდრებული

[199] იქვე, გვ. 175.
[200] იქვე, გვ. 174.
[201] იქვე, გვ. 174-175.
[202] იქვე, გვ. 175.
[203] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (N9) დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 23-25.
[204] იქვე, გვ. 74-75, 77-79.
[205] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში (N9) დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 21.

სტერეოტიპებისა და სტიგმის დაძლევასა და ქვეყანაში თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობაში.[206]

სტატისტიკის წარმოება

სამინისტროს ანგარიშის თანახმად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ბოლო გადაწყვეტილებაში „დადებითად შეაფასა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების სტატისტიკის წარმოების და სტატისტიკის ანალიზის გაუმჯობესებისკენ გადადგმული ნაბიჯები“.[207] ამავდროულად, სამინისტროს ანგარიშში არ არის აღნიშნული, რომ მინისტრთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, „შეაგროვოს და გამოაქვეყნოს მონაცემები შეტყობინებული დანაშაულების რაოდენობაზე“.[208] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშების გარდა,[209] შეტყობინებული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია არ არის მოცემული სამინისტროს ანგარიშში მითითებულ სხვა დოკუმენტებში (დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზი, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში 2023, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების ანალიზი (საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი) 2022 წელი).[210] გარდა ამისა, გაუმჯობესებას საჭიროებს მონაცემები, რომლებიც ქვეყნდება დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ მემორანდუმის ფარგლებში. 2023 წლის ერთიან ანგარიშში, მაგალითად, წერია, რომ შსს-მ სულ 1806 საქმეზე დაიწყო გამოძიება, აქედან 176 საქმე იყო კვალიფიცირებული 126 მუხლით,[211] მაგრამ ეს 176 საქმე არ არის ჩაშლილი დისკრიმინაციის ნიშნის მიხედვით. უკეთესი და უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ კონკრეტული მუხლით კვალიფიცირებული საქმეები ჩაიშალოს, მაგალითად, ნიშნისა და მსხვერპლს/ჩამდენს შორის სოციალური

---

[206] იქვე.

[207] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 80.

[208] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1483-ე შეხვედრაზე (5-7 დეკემბერი 2023) მიღებული გადაწყვეტილება, პარაგრაფი 6.

[209] საქართველოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშები, იხ.: https://sis.gov.ge/Statistics-and-reports?rec_id=13 [ბოლოს ნანახია 14.05.2023].

[210] საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2023 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), გვ. 72-73.

[211] დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში 2023, გვ. 1-2, იხ.: https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf [ბოლოს ნანახია 16.07.2024].

კავშირის მიხედვით. სტატისტიკაზე მუშაობის გარდა, სახალხო დამცველის აპარატი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამომწვევი რისკ-ფაქტორებისა და დანაშაულთა გამოვლენის ხელშემშლელი გარემოებების გაანალიზებას.

რეკომენდაციები

წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის რეკომენდაციებს, რომლებიც მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია ზემოთ განხილულ საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების სრულფასოვანი აღსრულებისთვის.

„ცინცაბაძის ჯგუფის“ საქმეები

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდეს ცვლილებები და სახალხო დამცველს მიენიჭოს არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების გამოძიების დასრულებამდე გაცნობის უფლებამოსილება.
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე;
- გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულები დარჩეს მის ქვემდებარეობაში (სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა ნუსხიდან ამოღებულ იქნას სსკ-ის 153-159, 162-163 და 164^4-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები);
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, დადგინდეს:
    - საქმის გადაცემასთან დაკავშირებით პროკურატურის მიერ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მოთხოვნის განხილვის შემჭიდროვებული ვადები და პროკურორის გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება;
    - საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დასაბუთებული წინადადებების განხილვის ვადების შემცირება და პროკურორის გადაწყვეტილებების დასაბუთების ვალდებულება;
    - დამატებითი გარანტიები მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვებისა და დაცვის/შენახვის უზრუნველსაყოფად, ხოლო სამსახურის მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში - უარის დასაბუთების ვალდებულება;

- სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი რეკომენდაციების შესაბამისად, ახალ პენიტენციურ კოდექსში:
    - განისაზღვროს პატიმრების დისციპლინური დარღვევის სახეები (ნაკლებად მძიმე დარღვევა, მძიმე დარღვევა და განსაკუთრებით მძიმე დარღვევა) და დარღვევის თითოეული სახის მიმართ შესაბამისი სახდელები (სახდელის სიმკაცრის გრადაცია);
    - დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა განისაზღვროს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
    - გაიზარდოს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებული მსჯავრდებულებისთვის პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა;
    - შემცირდეს უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა;
    - გაუქმდეს განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულის მიერ ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში დაწესებულების დროებით დატოვების უფლების შეზღუდვა;
    - ბრალდებულს მიენიჭოს ადვოკატთან კომუნიკაციის უფლება მიუხედავად იმისა, გარე სამყაროსთან მისი კონტაქტი შეზღუდულია თუ არა პროკურორის/გამომძიებლის დადგენილებით;
- საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2020 წლის 20 ნოემბრის №663 ბრძანება („პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“) პრიორიტეტულად, უმოკლეს ვადაში, მოვიდეს შესაბამისობაში პენიტენციური კოდექსის 139-ე მუხლთან;
- სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილების გზით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალული მოპყრობა/ქმედებები გახდეს კრიმინალიზებული კოდექსის მხოლოდ სპეციალური ნორმებით (144^1-144^3). კერძოდ, 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ პუნქტებით, 335-ე მუხლით და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებები გახდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული სპეციალური ნორმებით კრიმინალიზებული და კოდექსიდან ამოღებულ იქნას 332-ე და 333-ე მუხლების მე-3 ნაწილების „ბ“ და „გ“ პუნქტები, 335-ე მუხლი და 378-ე მუხლის მე-2

ნაწილი ამ დებულებებით გათვალისწინებული ქმედებების დეკრიმინალიზების გარეშე;

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში განხორციელდეს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების პროცესის ტექნიკური (აუდიო-ვიდეო) საშუალებებით ჩაწერა და გონივრული ვადით შენახვა;
- ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის ვინაობის დადგენა; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება;
- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო მეთვალყურეობის სისტემით;
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, სამხრე კამერით;
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეოკამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა;
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოფილ იქნეს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება და გონივრული ვადით შენახვა;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შეიძლება იყოს მხოლოდ უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, რატომ მიიჩნიეს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება იყო

უალტერნატივო ღონისძიება. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა;

- დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად;
- უზრუნველყოფილ იქნეს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად.
- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრება დასაშვები იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმწუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით (მოსალოდნელი საფრთხეები დეტალურად უნდა აღიწეროს დოკუმენტაციაში); ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მიერ საუბრის მოსმენის გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით;
- 2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და დეესკალაციის ოთახში ბრალდებული/მსჯავრდებულის მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი;
- 2024 წელს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში არასრულწლოვნის მოთავსება დაუშვებელია;
- შემუშავდეს პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა.

საქმე „მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

- განხორციელდეს საქართველოს პროკურატურის რეფორმა ყველა რელევანტური მხარის, მათ შორის სახალხო დამცველის აპარატის, ევროპული კომისიის, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისა და ვენეციის კომისიის, რეკომენდაციების შესაბამისად;
- სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტით პენიტენციურ დაწესებულებებში ვიდეო ჩანაწერების დაარქივების ვადად განისაზღვროს სულ მცირე 30 დღე.

„თხელიძის ჯგუფის“ საქმეები

- სახალხო დამცველის აპარატის მიერ წარდგენილი კომენტარები გათვალისწინებულ იქნას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის სამოქმედო გეგმის დოკუმენტში;
- გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის საქმეზე სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს საქმეთა გენდერული პერსპექტივით შესწავლა და გენდერის კონცეფციის ფართოდ განმარტება;
- გამომძიებლები და პროკურორები სისტემატურად გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირების საკითხზე;
- მოხდეს გამომძიებელთა და პროკურორთა სისტემატურად გადამზადება გენდერულ მოტივთან დაკავშირებით ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანი გამოძიების მიზნით;
- სამართალდამცავები სისტემურად გადამზადდნენ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში რისკის შეფასების ინსტრუმენტის გამოყენების შესახებ;
- ფემიციდის მცდელობის საქმეებში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში დაზარალებულთა მხარდაჭერის მიზნით, უზრუნველყოფილ იქნეს მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორის პრიორიტეტულად ჩართულობა;
- სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მოსამართლეები გადამზადდნენ გენდერის ნიშნით ჩადენილი დანაშაულების იდენტიფიცირების საკითხზე;
- ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დასამკვიდრებლად უზენაესმა სასამართლომ შეიმუშაოს გენდერის ნიშნის ყოვლისმომცველი განმარტება, მათ შორის ეჭვიანობის მოტივზე აქცენტით;
- მოსამართლეებმა ოჯახური დანაშაულისთვის მსჯავრდებულებს დააკისრონ იმ ხანგრძლივობის და სიმკაცრის სასჯელები, რაც სათანადოდ დაიცავს დაზარალებულს ან ოჯახის სხვა წევრს დანაშაულებრივი ქმედების განმეორებისაგან/უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენისგან;

- ოჯახში ძალადობის ან ქალის მიმართ ძალადობის საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას, სასამართლომ ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, დაადგინოს რამდენად არსებობს დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელების და უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის საფრთხე.
- საერთო სასამართლოებმა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საქმეებში აქტიურად გამოიყენონ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გენდერის მოტივის დასასაბუთებლად;
- სასამართლოებმა აქტიურად გამოიყენონ სისხლის სამართლის კოდექსის 53[1]-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ გენდერის და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით ჩადენილი დანაშაული წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, მაშინ როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებები ამ მოტივზე მიუთითებს და გენდერის ნიშანი არ არის მაკვალიფიცირებელი ნიშანი.
- სექსუალური ძალადობის მარეგულირებელი კანონმდებლობა მოვიდეს შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციასთან, კერძოდ:
    - შევიდეს ცვლილებები სსკ-ის 137-138-ე მუხლების შემადგენლობებში და დანაშაულის კვალიფიკაციის ძირითად ელემენტად ქმედებაზე დაზარალებულის თავისუფალი და ნებაყოფლობითი თანხმობის არარსებობა განისაზღვროს. სტამბოლის კონვენციის მოთხოვნების თანახმად, დანაშაულის ფიზიკური ძალადობის, ძალადობის მუქარის ან დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, ასევე, სსკ-ის 139-ე მუხლში ჩამოთვლილი ხერხების გამოყენებით ჩადენა, შესაბამისი დანაშაულების დამამძიმებელ გარემოებებად განისაზღვროს;
    - სსკ-ის 139-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლის 1.გ. პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული მუხლით კრიმინალიზებულ იქნას სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტი მესამე პირთან;
    - სსკ-ის 137-139-ე მუხლებს დამამძიმებელ გარემოებებად დაემატოს დანაშაულის ჩადენა პარტნიორის მიმართ, რომელსაც არ მოიცავს ერთობლივ თანაცხოვრებაში ამჟამად ან წარსულში მყოფი პირი;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და შესაძლებელი გახდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, მათ შორის, სქესობრივი დანაშაულის შედეგად დაზარალებულად ცნობილი პირის დაკითხვის დისტანციურად ჩატარება ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანა;
- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და მოსამართლეს ჰქონდეს შესაძლებლობა ოჯახურ დანაშაულში მსჯავრდებულებს დაავალოს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლა;

- გადაიხედოს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი და
    - აისახოს პასუხისმგებელი უწყებები და მათი მოვალეობები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის უზრუნველსაყოფად;
    - დეტალურად გაიწეროს პასუხისმგებელი უწყებების ვალდებულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეფერირებისა და კოორდინირებული მუშაობის პროცესში;
- დაიხვეწოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი, კერძოდ:
    - შემუშავდეს კომპენსაციის გაცემის სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შეურაცხადობის ან გარდაცვალების გამო წყდება;
    - სახელმწიფომ ზიანი აანაზღაუროს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ამოღებული თანხა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული ოდენობის 40%-ზე მეტს შეადგენს;
- აქტიურად ჩატარდეს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია, მათ შორის ქვეყანაში არსებული მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, განხორციელდეს მიზანმიმართულად ეთნიკურ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებზე აქცენტით;
- ბენეფიციართა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სახელმწიფო თავშესაფრების ტერიტორია გაიმიჯნოს სხვა დაწესებულებისგან;
- სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში გაძლიერდეს დაზარალებულთა სოციალური რეაბილიტაციის კომპონენტი და სისტემატურად დაიგეგმოს საგანმანათლებლო/სარეაბილიტაციო ღონისძიებები;
- განახლდეს ჰიგიენისა და პირადი ნივთების საბაზისო ჩამონათვალი, რომელიც სავალდებულო იქნება ყველა სახელმწიფო თავშესაფრისთვის;
- გადაიხედოს სახელმწიფო თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არსებული ინვენტარი და განახლდეს საჭიროებისამებრ.

„იდენტობის ჯგუფის“ საქმეები

- 2023 წლის 8 ივლისს „პრაიდ ფესტივალის“ ძალადობრივ ჩაშლასთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიებები წარიმართოს ეფექტიანად, დროულად

გამოიკვეთოს ყველა პასუხისმგებელი პირი და წარედგინოთ ბრალი სათანადო კვალიფიკაციით;

- შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების კუთხით კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ასევე დისკრიმინაციული, სტერეოტიპული დამოკიდებულებების აღმოსაფხვრელად, განხორციელდეს სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლების განგრძობადი გადამზადება, ასევე შეფასდეს გადამზადების მიზნით გამართული აქტივობების შედეგები, ეფექტიანობა.
- გატარდეს ქმედითი ღონისძიებები ლგბტ+ თემის მიერ შეკრების თავისუფლების უფლებით, უსაფრთხო გარემოში, სარგებლობის მიზნით.
- ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისგან, რომლებსაც შეუძლიათ ლგბტ+ თემის წინააღმდეგ სიძულვილის, აგრესიის და ნეგატიური დამოკიდებულებების გაძლიერება საზოგადოებაში;
- ჩატარდეს ინტენსიური საზოგადოებრივი კამპანიები დისკრიმინაციის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად.
- გაანალიზდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამომწვევი რისკ-ფაქტორები და დანაშაულთა გამოვლენის ხელშემშლელი გარემოებები.
- ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში დაემატოს მონაცემი შეტყობინებული დანაშაულების რაოდენობაზე;